

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული




გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 93

2020



მთ. რედაქტორი

ნანა (ნანუღი) გუნია

პოეტი, პროფესორი, საქართვე-
ლოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსახანის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-900-4 (93 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ღმერთის მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღმქანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილოტ ტიუტჩევის ღმერთი და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ღმერთის მომცველი ერთომეუფლი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთომეუფლის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმინდება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ღმერთი დასტამებული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნინერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული კოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურებატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანონის მედლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვინდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვინდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნინერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრემიუნდის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნინერო აკადემიის ვიცე-პრემიუნდის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს კოლიბრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბულია დასაბეჭდავ ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანთოლოგიური, აბრეთვე, პრეზიდისაღმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველისა და საჯოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმცხრე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, პელაგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათთხემეტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითხავი.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...“


კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეშავი მისვლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად ვხევიდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მამბიერ

(გაგრძელება)

ეს რომ ნათლად დავინახოთ, მისსა და მისდაგვარად წარმოჩენილ პოეტია შემოქმედებას უნდა ეპყიდოთ თავლი თანამეზობლურად.

შოთა ნიშნიანიძე

ვინაც ააგო ნიკორწმინდა,
სვეტიცხოველი,
დიდება მის ლანდს,
მე არა ვარ მეტის მოხოველი.
კურთხეულ იყოს,
ვინც განსჭვრიტა კლდეში ვარძია,
სულით განათლდეს,
ვინც აკვანი მის არწია.

ვაჟა ვერისელი

ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ...
მიწას პარავდნენ...

ეს მღვრიე მტკვარი
მათი ოფლია,



წარსულიდან რომ მოედინება
და მაინც რაა
ქართლის წარსული?
– თორ-აბჯარია, ყიჟინაა,
კაჟის თოფია,

ხმალ-ხანჯალთა პირგაბასრული.

აქ თხრობის საგანიც ერთნაირია, მაღალი ოსტატობაც ერთნაირად გამოსარჩევი, შაირები კი გამოირჩევიან ერთმანეთისაგან თაღნათლივ.

შოთა ნიშნიანიძის შაირი ყურს ისე ესმის, თითქოს მაღალო მთებიდან შვეულად გადმოხეთქილი მდინარეა, რომელიც წისქვილის დარში მიშვებულევით მოშხუის, გზად არ შეყოვნდება, სანამ გუგუნებს მერმე წისქვილი ფქვილის საამო სურნელი გვატკბობს, კმაყოფილება გვაძღობს.

ვაჟა ეგრისელის შაირი ისე აღიქმება, თითქოს მდინარემ ჩამოივაკა, ღაღად მოედინება, გზადაგზაველ-მინდვრებს ანოყივრებს, ჰაერს აგრილებს, თვალს ახარებს და გულს აამებს.

ვინც ვაჟა ეგრისელის ლექსებს იცნობს, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდა ის, რომ თითქმის მთელი მისი პოეზია ასე, დადინჯებული მდინარესავით, ღაღად მოედინება, შემდეგ კი ერთ მთლიანად იქცევა, როცა ქართული პოეზიის ოკეანეში შედის და მოლივლივე ზღვად მოსჩანს, ოკეანესაგან რაღაც თავისი უბე, თავისი ყურე და სრუტე რომ აცალკევებს.



ლექსი მასალისაგან ამოიყვანება, ვითარცა ყველი – რძისაგან., ლექსის მასალა სიტყვებია. აი, მიუჯდა პოეტი სიტყვების მარაგს, როგორც დედა მიუჯდებოდა ხოლმე ბუხართან აფიცხებულ რძიან ქოთანს, თავს უყრიდა აჭრილ რძეში გაფანტულ ყველს, აგუნდავებდა, წურავდა, გამოაცალკევებდა წაქისაგან და ამოჰყავდა მშვენიერი, მთვარესავით მრგვალი ყველი.

ეს თავად ვაჟა ეგრისელი სიტყვებია. უთქვამს: მეც ასე ამომყავს სიტყვებიდან ლექსი, როგორც დედას რძისაგან ყველი ამოჰყავდაო.

ასე ამოჰყავს, ალბათ, ლექსი ყველა პოეტს სიტყვის მასალიდან, მაგრამ ყველას ერთნირად როლი გამოუდის ეს საქმე, რამეთუ ლექსის შექმნის პროცესში ხელი კი არ არის მთავარი მომქმედი, არამედ გულია, სულია, აზრია, გრძნობებია და გემოვნებაა პოეტისა, რაც თუნდაც მილიონში ორ მათგანს ერთნაირი არა აქვს.

მაგრამ უკიდევანო პოეზიის ოკეანეში პოეტები იშვიათად თუ ჰქმნიან თავის ზღვას, ნიშანდებულს საკუთარი სრუტეებით, ყურეებითა და უბეებით. ასეთი რამ რჩეულთა ხვედრია.

რუსთაველი თავად ოკეანეა ქართული პოეზიისა, რომელმაც შეიფარა ზღვებად მოვარდნილი პოეზიები ჩახრუხადისა, შავთელისა, დავით გურამიშვილისა, ბესიკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავ-



ჭავჭავისა, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასი, გალაკტიონისა და სხვათა სხვაჟამინდელთა და ამჟამინდელთა.

და აი, ამჟამინდელთა შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ ვაჟა ეგრისელი, რომელიც ოცდაათი წელიწადია აქვეყნებს პოეტურ კრებულებს, ლიტერატურათმცოდნეების ცხოველ ინტერესს რომ იწვევენ თავისი თავისთავადობითა და განსაკუთრებულობით.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთ თავისებურებას მინდა გავუსვა ხაზი ამჯერად, რომლის სადემონსტრაციოდ მოვიტან რამოდენიმე მაგალითს.

ქართულ ტრადიციულ ლექსთწყობას თავისი წესები გააჩნდა, სადაც დაცულია: მარცვალთა რაოდენობა სტრიქონებში, რითმი და ბევრი სხვა კომპონენტი.

ვაჟა ეგრისელი თითქმის ყველა თავის ლექსში „ლალატობს“ ოდითგან შეურყევლად მომდინარე ფორმა შემოაქვს, სადაც ხან მარცვალთა რაოდენობაა დარღვეული, ხან რითმათა მონაცვლეობა, ხან რიტმში იცვლება, მაგრამ ლექსი მაინც გამართულია და წყაროსთვალივით წმინდად მოედინება.

თვით უკვდავება,
სიტყვის გარდა
არაფერშია,
მადლობა უფალს!
რადგან მოხვედი
სიხარულის და იღუმალი



ცეცხლის მფრქვეველი.
მე აღარ მინდა არც სამოთხე,
არც ჯოჯოხეთი,
მსურს ლექსში ვპოვო,
საუკუნო სასუფეველი.

ამ ლექსში თითქოს მეოთხე და მეხუთე სტრიქონებს შორის რაღაც აკლია, რასაც საზომი უნდა შეევსო. ასეთი სიტყვა რომ ეძებნა ავტორს, უნდა დაეწერა:

„მადლობა უფალს, სანატრელო,
რადგან მოხვედი“.

ანდა:

„მადლობა უფალს, მშვენიერო,
რადგან მოხვედი“.

ანდა:

„მადლობა უფალს, საბოლოოდ,
რადგან მოხვედი“.

და სხვა ათასი.

მაგრამ ყველა შემთხვევაში ის დამატებული სიტყვა ვაჟა ეგრისელისეული არ იქნებოდა და მის ლექსს თავისთავადობას დაუკარგავდა.

აქვე მოვიტან ვაჟა ეგრისელის ლექსს, სადაც ზომა სტრიქონში სიტყვის დაკლებითაცაა დარღვეული და მომატებითაც:

ვით მაფშალია გალობ

და გალობ

და შენს გალობას –



აღსავსეს რწმენით,
ამ ტიალ ცის ქვეშ არავინ უსმენს,
ის კი არადა,

ჯვარს რომ გაცვან
ვითომცდა წყენით,
წამსვე მოარბენინებ –
ღურსმენბს.

ამ ლექსში მეშვიდე სტრიქონი თითქოს ზედმეტია, ზომას არღვევს, მაგრამ ზედმეტია კი? ის სრულებითაც არ არის და არც აღიქმება ზედმეტად, არამედ ორგანულადაა ჩამჯდარი კონტექსტში, თუმცა ლექსთაწყობის ტრადიციას ანგრევს.

ამავე ლექსში მეცხრე სტრიქონი, ტრადიციული ლექსთაწყობის მიხედვით, ერთი მარცვლით მეტი უნდა იყოს, მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, ვაჟა ეგრი-სელისეული არ იქნებოდა და თავისებურ მიმზიდველობას დაკარგავდა.

ეგრეთწოდებული „ჩავადრდნილი“ და „ზეადმავალი“ სტრიქონების გამოყენება (მონაცვლეობა) ქართული პოეზიისათვის უცხო არ არის. ქართულში პოეზიამ შეისისხლხორცა ლექსში დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლეობა:

გრიგოლ ორბელიანი

კახური ღვინით აღვსილი
აზარფეშიცა ხელთ გვეპყრას,



მართალი, თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას.
ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწვინვალე ზე დაგვნატოდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი გაგვიგრილებდეს...

ნიკოლოზ ბარათაშვილი

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს
სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი!
ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული
სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო
მაინც დარჩება.

ვაჟა ვერისელი

გდეგდა ჯარი პიროსის, ზღვაოსანს და მოი-
სარს,
პონტოს სანაპიროზე როს შენი ხმა მოისმა
ვოისა,
ვოისა..



მაგრამ ეს სულ სხვა რამეა. ვაჟა ეგრიხელის პოეზიაში სხვადასხვა ზომის სტრიქონების მონაცვლეობა პოეტური ხელოვნების მაღალ რანგშია აყვანილი და მისი შაირის განსაკუთრებულობას ჰქმნის. ეს მისი საკუთარი სტილია და ისე გამოარჩევს მას პოეზიაში როგორც ლაღო გუდიაშვილს, გამოარჩევს დეკორაციულ-ორნამენტალურობისა და პასტოზურობის თავისებური ორიგინალური შესაბამება ფერწერაში, ზაქარია ფაღიაშვილს – ააღლებული მონუმენტალურობა და ნათელი მელოდიურობა მუსიკაში, ვახტანგ ჭაბუკიანს – შინაგანი ექსპრესია და ნატიფი ტექნიკა ქორეოგრაფიაში.

როგორც ფაღიაშვილის მუსიკას ვერ აღიქვამ მწიგნობრული აღწერით, ასევე ვერ შეიცნობ ვაჟა ეგრიხელის მიერ ლექსში სხვადასხვა ზომის სტრიქონების მაღალ პოეტურ დონეზე აყვანის ხელოვნებს, თუ ის არ მოისმინე:

მზის ფიალით გამოწვდილი

ცაა...

როგორც ზიარება

და ვერც ჟამმა,

ვერც ღუდუკმა,

ვერცა ზურნამ,

ძველისძველი იარები,

ვერ იქნა,

ვერ განუკურნა.



ეს ლექსი ვაჟა ეგრიხელის პოეტური კრებულის „იასამნების ლურჯი გალობა“ მეათე გვერდზეა მოთავსებული. მას მოჰყვებიან ლექსები:

ო, ეს მთავრე დარდიანი
აი, ახლა,
რომ თქვას კაცმა,
ფიქრთა ღრუბლით
კი ჰგავს მგოსანს,
ის მახვშივით ზის
და მარცვლავს –
ვარსკვლავების კრიალოსანს.

* * *

ქართული ციდან
წვეთავს მირონი
და ვარსკვლავების ნაკვერხსლებზე
დამე შიშხინებს
შორეულ აღით –
მშობლიური
ბრწყინავს ხედები
ცაში მეგულება,
მიტომაა ისე ხშირ-ხშირად
მშობელო,

მაღლა რომ ვიხედები.

ასეთი მაგალითების მოტანა შეიძლება იმდენი-სა, რამდენი ლექსიც ვაჟა ეგრიხელის პოეტურ კრებულებშია მოთავსებული, ლექსში სხვადასხვა ზო-



მის სტრიქონთა გამოყენება ვაჟა ეგრისელმა შემოქმედებითად დამუშავა, გაითავისა და მაღალ ხარისხში აიყვანა.

თავი მეოთხე

„შაირია ამაღ კარბი“

ვაჟა ეგრისელის ლექსის უმთავრეს მახასიათებლებიდან, რომლებიც მას განსაკუთრებულობასა და თავისთავადობას ანიჭებენ, უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვყოთ:

აზრის შეკუმშული გამოთქმა,
სტრუქტურული სიახლე,
სახიერი მეტყველება.

პოეზია საერთოდ, აზრის შეკუმშულად გამოთქმის უებარი საშუალებაა. ლექსს, ჩვეულებრივად, სტრუქტურული მრავალფეროვნება ახასიათებს. შაირი, უპირველეს ყოვლისა სახეებით მეტყველებაა. რატომღა ვთვლით ყოველივე ამას ვაჟა ეგრისელის ლექსის განსაკუთრებულობისა და თავისთავადობის მიმანიშნებლად? საქმე იმაშია, რომ ვაჟა ეგრისელს გამორჩეულად მაღალ ხარისხში აჰყავს ლექსის შემოქმედად გვევლინება.

შევეცადოთ ყოველივე ეს დაწვრილებით განვიხილოთ სათანადო საილუსტრაციო მაგალითების თანხლებით.



მრავალფეროვან და ფართო სურათს გვიხატავს პოეტი თავის ერთ-ერთ ლექსში: ღამეა. ზესკნელში თვალუწვდენი და აზრმიუდგომელი პეიზაჟი ილანდება. წვიმა თითქოს უთვალავი წვრილი თითებით ეხება ელვისაგან დაგრეხილ სიმებს ვეებერთელა საკრავისას. საკრავი ხან დიდი, ხან მცირე ტერციებით შეზავებულ აკორდს გამოხატავს, რაც მესთანეუტქვასავიტ ისმის. ზოგჯერ ჩხრიალებს და ხმას დაიბოხებს. ღრუბლები შავი ყორნებია, ფრთამოკუპრულნი ღობე-ყორეს რომ ედებიან და უფერულ სველ ქვევს თავს დასჩხავიან. ცა უდაბნოსავით უსახურია, მაგრამ მისი სიღრმიდან ვარსკვლავთა ციმციმი გამოკრთის. ეს ვარსკვლავები უამინდო ღამის მწუხარე ჰეიზაჟის მიერ აღძრულ უსიამო შეგრძნებას ღახვრავენ და ისე აღიქმებიან, თითქოს ვარსკვლავები კი არა, ჩვენი შორი იმედები არიან.

ყოველივე ის, რაც ჩვენ ახლა ვთქვით, პოეტის სულ მოკლე ლექსში ჩაეტია:

მეხი ხანდახან ხმას დაიბოხებს,

წვიმა უკრავს და

ირხევიან ელვის სიმები,

ღრუბლის ყორნები

ღობე-ყორეს კვლავ ედებიან...

ცის უდაბნოშიო ვარსკვლავები რომ ციმციმებენ,

ვარსკვლავნი არა,

ჩვენ შორი



იმედებია.

ლექსის მიერ აღძრული ფიქრთა გორგალი აქ როდი ჩერდება. იგი კვლავ მიგორავს და იზრდება – ჩვენი შორი იმედებისაკენ ხიდს ხვალინდელი აისის დადგომა გადებს, რომელიც უკან ჩამოგვატოვინებს შავ ღრუბლებს და ნათელ დღეებს ისევ ნათელი დღები შეცვლიან. ვინ იცის, რამდენი სიკეთე, სიამე, ბედნიერება გველის მათგან!.. ის ვარსკვლავებიც ხცომ ღრუბლიანი ცის შორეთიდან გამოწიატებული ჩვენი შორი იემედებია.

სხვა ლექსში პოეტი რუსთაველს ათქმევინებს:
ვით ჩაუქრალი სვეტი ნათლისა,
გარდმოვლენილი
მზის საუფლოდან –
ჩემი ხმა არის სამყაროს რომ
სინათლედ უვლის
ტერფიდან თხემით.
გრიგალებში და მნათობებში გავრიე სული
და ცა და მიწა
ავავსე ჩემით.

ეს ლექსი გვეუბნება იმასაც, რაც იქ ნათქვამია და იმასაც, რაც იქ ნათქვამი არ არის, მაგრამ მაშინვე წარმოჩინდება და ნათქვამივით აღიქმება მკითხველის მიერ, როგორც კი ლექსის კითხვას მოათავებს: რუსთაველი მზის საუფლოდან გარდმოვლენილი ისეთი ნათლის სვეტია, რომელიც თვით მზის განუყოფელი ნაწილია და ისევე არ უწერია ჩაქრობა,



როგორც თავად მზეს. ვითარცა მზე სამყაროს ანათებს, ასევე ანათებს რუსთაველიც უკიდევანო უსასრულობას, – მან ისეთი სინათლე გამოაბრწყინა, რომ მის სიკაშკაშეს საუკუნეების სიშორეც კი ვერ აფერმკრთალებს.

გადმოეშვა ლექსიდან ფიქრთა გორგალი, რომელიც იხვევს და იხვევს უკვლავი „ვეფხისტყაოსნის“ ჯადოსნურ სტრიქონებს:

რომელმან შექმნა სამყარო...

და მიაბიჯებს მკითხველთან ერთად უკვე შეცნობილ სამყაროში ღმერთი მჭერმეტყველებისა ჰერმესი...

დიდი ხანია შეამჩნიეს ვაჟა ეგრისელის პოეზიაში მწერლებმა, მეცნიერებმა, ხელოვნების მუშაკებმა ის, რაზედაც მე ახლა ვლაპარაკობ და მიაქციეს მას ყურადღება, ამიტომ ამ საქმეში მე ორიგინალური არა ვარ. მე მხოლოდ შევეცადე მეჩვენებინა: აზრის ლაკონური, შეკუმშული გადმოცემა, რომელშიაც ჩანაფიქრი ჯებირს გადმოლახავს ხოლმე და მკითხველის ცნობიერებაში ფართოდ გაიშალება, ვაჟა ეგრისელს უმაღლეს ხარისხში აჰყავს, რაც მას სიტყვის რჩეულ ოსტატთა შორის აყენებს.

მოგუსმინოთ:

ქალი კითხულობს „ფარაონს“,

კაცი „რემბოთი“ გართულა.

შლის ინდაური მარაოს,

კიბისქვეშ სძინავს ბათურას.



ისმის ქათმების კაკანი,
თუმც „სისა-ტურა“ არ ტურობს,
სხვეწზე დევს ძველი აკვანი
და ბაღლის ღნავილს ნატრულობს.

ვაჟა ეგრისელის ასეთ ლექსებზე თქვა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ, მის პოეზიაში მინიშნებები სცილდება საზღვრებს და მკითხველის ცნობიერებაში ფართოდ განეფინებაო.

ლექსში დახატული ცოცხალი სურათი სასიამოვნო გრძნობებს წამოშლის: მამალი ინდაური მბრძანებლურად დააბიჯებს დედალთა შორის და ბოლოს მარაოსავით ფხორავს. კიბის ქვეშ ნებიერად სძინავს ძაღლს, რომლისთვისაც ეზოს ხმაურიანი თეატრონი იმდენად ჩვეულებრივია, რომ მას ძილს არაფერი უფრთხობს, პირიქით, ქათმების კრიახი და კაკანი ნანად ესმის...

მაგრამ სურათი იცვლება – კაცი და ქალი კი არიან, მაგრამ შვილები არ არიან, რომელთაც „სისა-ტურას“ უნდა უმღეროდნენ, მამა-პაპური საოჯახო აკვანი სხვეწზე აუტანიათ, რომელიც (და მთელი ეს გარემო) ბაღლის ღნავილს ნატრულობს.

ფართოდ განეფინა მკითხველის ცნობიერებაში ყოველივე ეს და აშლილი ფიქრების საფუძვლად იქცა: სამართლიანად უთქვამს ცნობილ მეცნიერ-პედაგოგს ვასილ სუხომლინსკის, კაცისა და ქალის ცოლ-ქმრული ცხოვრება იმ ოჯახში, სადაც შვილები არ იზრდებიან, უზნეობააო.



რა იქნებოდა, აკვანი სხვენზე კი არა, კერიის წინს რომ იდგეს, შიგ ბაღლი ღნაოდეს? – ქალი „ფარაონის“ კითხვით კი არ გაირთობდა თავს, აკვანს მიუჯდებოდა და თ ვის პირმშოს სიყვარულს დააფრქვევდა, ქათმების კაკანს „სისა-ტურას“ ტკბილი სიმღერა შეუერთდებოდა და ეზო-გარემოს გეტეროფონია დაატკობდა, კაცი „რემბოთი“ კი არა გაირთობდა თავს, კერიის გასათბობი საქმით დაიტვირთავდა...

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ეს თავისებურება შენიშნეს პოეტმა ოთარ შალამბერიძემ, მწერალმა რევაზ მიშველაძემ და ბევრმა სხვა მწერალმა და მეცნიერმა, რაზედაც ცალკე გვეყენება ლაპარაკი.

იმ მტკიცების დასადასტურებლად, რომ ვაჟა ეგრისელი „გრძელი სიტყვის მოკლედ“ თქმის დილოსტატია, მოვიტან კიდევ ორ ლექსს:

წარსულში უცებ წინაპარმა
ხმალი იშიშვლა,
ასე მგონია, როცა იელვებს,
ზღვაში თვალს ახელს სასწაული
და ფანტაზია.
ქუხილი, არა,
აიეტი და ფარტაზია,
ისევ ებრძვიან პონტოს პირას
ბიზანტიელებს.



ცხოვრება იყო გაძლება... სიცოცხლე
იყო ზღაპარი...

ტაძრებს ანთებდნენ კელაპტრად
ბნელ ცის ქვეშ მამა-პაპანი,
აშენეს ციხე-კოშკები, ათი კი არა,
ასიცა,

მაგრამ... იქ, სვეტიცხოველთან –
ზე აიწია ქართლის ცამ.

შეიძლებოდა ვაჟა ეგრისელის პოეტური კრებუ-
ლებიდან ბევრის დამტკევი ასობით პატარა ლექსი
მოგვეტანა (მისი თითქმის ყველა ლექსი ხომ ასე-
თია!), მაგრამ კიდევ ერთს მოვიტან მხოლოდ და
დასკვნა მერმე გავაკეთოთ:

გმირთა სამეფო და საბძანისი...

აჰა, დიდგორი,

აჰა, კრწანისი! –

ყოფნა-არყოფნა,

აქ იწყება ჩემი მამული,

წუხილი....

ოხვრა...

და სინანული...

* * *

ღირდა სიკვდილი ღამაზ წაისთვის,
„ძღვეა“ – დიდგორი....

„რხევა“ – კრწანისი.



ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ იქნება სურვილი აღგვეძრას თქმისა, ვაჟა ეგრისელი მოკლე ლექსში ზღვა აზრის ჩამტვევი სანაქებო კი არა, უმაღლესი დიდოსტატიაო!

მაგრამ ნუ ვიზამთ ამას! – ქართული ცა სვეტიცხოველმა რომ ასწია მაღლა, ასევე ასწია თვალუწვდენელ სიმაღლეზე რუსთაველმა ქართული ლექსი. ჩავთვალთ, რომ ვაჟა ეგრისელი მხოლოდ და მხოლოდ მისი ღირსეული შეგირდია.

კოტე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

*ნაწევები წიგნიდან – პოეზიის
სამყაროში სამოვ ზაუროდ*

გაგრძელება შემდეგ ტომში



* * *

ათასეულ წლის მერეც,

ქართულ მიწას აურუოლებს
მტრის შემოჭრა ქარული...

არაბთა და

მონგოლთა –

ველურ ცხენთა ჭიხვინი
და ფლოქეების თქარუნი...

1969

წინაპრებო

ჯერ რომ არავის გაუვლია,
შორი გზა არის
ვარსკვლავთ ხომლამდე;
მაგრამ კვლავ მესმის უცხო
ხმაური...

ნავი კი არა,
მელოდება მთვარის
ხომალდი,
ფიქრებს ვალაგებ...
ვემზადები სამოგზაუროდ...

2020



მელეა და აფსირტი

კაცის ბედი ასეა:

ხან ღვინობს და

ხან შარობს.

და უჟამო დღეებმა,

შავ ბედს ვეღარ ასხლიტეს

და-ძმა,

უყვალეჭარო¹,

მელეა² და აფსირტი³.

1971

¹ უყვალეჭარო (მეგრ.) – იუბლო, უბელო

^{2,3} – მელეა, აფსირტი – კოლხეთის მითიური მეფის – აიეტის ქალ-ვაჟი.



კლარჯეთი

ხევში გოდებად ყრია
ლოდები,
და რომ ვილოცო ვიდაც
მაძალებს.
სიხუმის ელდა დგას საზარელი.
აქ, ახლო-მახლო
არჩანს ტაძარი!
და... მაინც რეკვა მესმის
ზარების.

1984



პინგვინები

საიდანღაც მოვარდნილი ზვირთები,
ზღვის მკერდზე უცებ
გადაიგრგვინებს...
და ისმის საშინელი ხმები.

ნაპირზე მიმოდინ
პინგვინები,
ვითარცა მოწყალების დები.

1969



ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

მიწოდან ყური ამოყო იამ
და გაზაფხულის ფეხისხმა ისმის.
ბაღში ბარტყევით პირს აღებს
კვირტი.
და ილეწება ფიქრების კალო.
აივანზე კი პატარა ჩიტო,
ჩვენს დიდ სიყვარულს
გალობს და
გალობს...

1968



რა პატარაა ეს დედამიწა

შენ ციდან ჩუმად ჩამოდიოდი,
როცა მიწაზე ფიქრი
დაგლლიდა!
სადაც ოცნება და ელდა იწვა.
ნეტავ ანახათ შენს
სიმაღლიდან,
რა პატარაა ეს დედამიწა.

2019



ზარციხუში

წინაპრის ძეგლებით ნაგებმა კედლებმა
და სულის ყივილმა:
„ვარ ციხე!“
ვეღარ გაუძლო უამთასვლას ურთულესს!
და... ნაცისარზე ამოსულ
ცაცხვის ხეს,
წარსულის ფოთლების მაგიერ,
ასხია ჩიტების ჟღურტული.

1978



ეზრემ მცირე

(X ს.)

საქართველოს და ქართველებს,

ახსოვთ...

და ემახსოვრებთ –

„შავ მთაზე“ მისი ნაღვაწი –

დამასკელის და

ასურის

„მეტაფრასული“ ცხოვრება“.

1964

* მეტაფრასული (ბერძ.) – შესწორებული და შევსებული ნაწარმოებები, უპირატესად ჰაგიოგრაფიული ჟანრისა.



ხილვა: პომპეუსი (კვ. წ. აღ. 66 წ.)

პომპეუსის ხმა ისმის...

და სანთლები ანთია

და დიდ ბიზანტიას –

დამეებს კვლავ უთევენ:

ბერძნები და კოლხები¹,

ქართვები² და ლუკები³,

კოპტები⁴ და

გუთები⁵.

1967

1,2,3,4,5 – ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ტომები



* * *

პონტოს სანაპიროზე
ვღგავარ და
სივრცეებს გავეივო:
– ახვიოც¹!
კაარკასს²!
მელანხოლ³!
სადა ხართ!..
რა იქნება, რომ წამით
გამოჩნდეთ!..
და დამენახოთ!

1959

^{1,2,3} – კოლხური (ქართველური) ტომები.



დიდ გზა

რაც რომ სამოცდაათს

უახლოვდები,

ჩემად ესობა ხმალი ვადამდე.

და უამური დღეები კი

სისხლს კვლავ გიშრობენ –

თუმც აი, ახლა, არაფერი

აღარ გადარდებს,

მხოლოდ დიდი გზის,

იმ დიდი გზის,

გაკრთობს სიშორე!!!

2009



უმოღობა

ცას დარდისფერი გადაკრავს,
და დედამიწის –
ბებერ ძვლებს
ვერ ათობს მზის ნაკვერჩხალი.
თბილი ქვეყნისკენ –
მიფრინავს...
მიკრიმანჭულობს მერცხალი.

1964



მე და შენ

ცისკვეშეთში ცხოვრება,

ნეტავ,

შენი სურვილჰყო!

მაშინ, ბაღში ნუშები,

მუდამ დაიფიფქება...

და შენ გინდა ამქვეყნად,

მე და შენ რომ სულ ვიყოთ,

არა,

ჩემო, სიცოცხლეგ!

ასე, როგორ იქნება?!

2020



მთაში

კლდეებს რომ მიემალა
ჩანს ორბია,
ქანდაკად რომ დგას –
ჯიხვია რქიანი.
მთაზე ბილიკები რომ არბიან
და ჩამოარბიან,
ნეტა, რა საიდუმლო
სერობა აქვთ ბუმბერაზ მთებს –
თავჩაჩქიანებს?!

1971



ზანებ-სვანებ-ჭანებო

პონტოს სანაპიროზე,
სიყვარულით გადაღლილ
მზეს, რომ ჩასვლას შველოდნენ –
ზანებ –
სვანებ –
ჭანები,
ნეტავ, მაშინ თუ იყო,
აქ სხვათა ჭაჭანება?!

1961



ასტროლოგები

ჭოგრიტით ხელში ასტროლოგები,
კვლავ კითხულობენ მნათთა
ოქტავას*
და არ გვაძლევენ აქ დარჩენის
მცირე ნატამალს.
თუმც კარგად იცის
ყველა მოკვდავმა,
რომ ღმერთის გვერდით
სახლობს სატანა.

2014

* ოქტავა (ლათ.) მუსიკ. ინტერვალი



წამო, შეჩერდი

როგორც სიკეთის თანაზიარი,
ღმერთთან ბინადრობს
სული პოეტის.
და, ცას მომწყდარი,
როგორც გლეტჩერი,
კვლავ საიდანდაც ისმის გოეთეს:
„მშვენიერი ხარ,
წამო, შეჩერდი!“

1970



მთა კალიასტომის ტბაზე

ცად აპირებდა ჩუმად გაპარვას,
მაგრამ ყინულზე –
ფეხი დაუსხლტდა,
და სწორედ ხელი იქ მოეცარა! –
მთა იყო თურმე იმ ადგილზე,
მაგრამ ტბად იქცა,
როდესაც მიწა ფეხქვეშვიდან
გამოეცალა.

1962



საუკუნე გორგასალის

დრო მიჰქრის...

და ბორგავს მტკვარი...

მაგრამ მაინც –

იმ ძველ ათასწლეულებში,

ყელყელობს და

ცაში კრავს კამარას –

საუკუნე გორგასალის,

დავითის და

თამარის.

2001



კოლხ-მსაქმელ იბერებს

თუ ორივე პლინიუს –

უფროსსა და უმცროსსაც

ერთად თუ დავუჯერებთ:

ტყუპისცალებია და...

გასაყოფი არც რა აქვთ,

კოლხ –

ესპანელ იბერებს.

1962



ტკვა-ჯა

სიცოცხლე ღოცვა და აჯაა,
რომელსაც ცრემლები –
ჩანს ასველებს...
ცხოვრება – პატარა ტკვა-ჯაა*,
სამარეში ჩასაყუდებელი
და ჩასასვლელი.

1969

* ტკვა-ჯა (მეგრ.) ერთიან მორისგან გაკეთებული (ტკვა-კიბე, ჯა-ხე) ხის კიბე.



ხილვა: თეოფანე ბიზანტიელი

ვინც რომ მტრობდნენ საქართველოს,
აღარ შერჩათ –

დედის ხსენი.

მაგრამ თეთრად დამეუბი,

რომ გატყუეს

და ათიეს,

იმათ შორის სულ პირველად,

ვინაც „ტფილისი“* ახსენა,

ვხედავ ბერძენ –

თეოფანე ბიზანტიელს.

1993

* „ტფილისი“ – ნახსენები აქვს თავის „ჰერაკლე კეისრის
ლაშქრობის აღწერილობაში“ – თეოფანე ბიზანტიელს
(VI ს.).



1999

გზა ნაურმალს მიუყვება...

იმედივით გამოჩნდება

მთვარის ნიშა

და ცა ელვას გაიოცებს.

ისევ ისე ვიმეორებ –

ეს საუკუნე მეოცე,

შენს მოვლენას ჩაინიშნავს.

1999



გველთევზები

სანთლებს ანთებენ
 ღვთისმოსავები,
საუბარია როცა ღმერთებზე!
 თუმც უღმერთობა
 ბევრჯერ იგემეს!
ვინდა დაითვლის ზღვაში –
 ზვიგენებს,
და, ან სმელეთზე,
 ღლავს და გველთევზებს.

2020



7200

კოლხეთი რაც რომ ციდან

დაეშვა,

მას შემდეგ რამდენი

ითოვა...

იწვიმა...

და აი, ახლა,

შავი ზღვა რომ დელავს,

მეოტიის ტბა იყო

წარღვნამდე,

7200 წლის წინათ!

1968



საუკუნე მეოცე

(მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“ 1000 –
ტომეულზე.)

შენ, ზღაპარში დაიბადე,
თავქვეშ გელო ბალიშად
მითიცა და ლეგენდაც!
აი, ახლა, არა გიშავს,
საუკუნე –
მეოცე,
რადგან შემოგეკედლა!

1999



უ რ წ მ უ ნ ო თ ო მ ა

არასოდეს ყოფილაო,
ეს ცხოვრება საამური,
არც არასდროს ყვაოდაო
ბაბილონი და არც ური.
თითქოს, სფინქსიც არ იყოო,
ძველ-კოლხური-ქაღდეური,
საიდანღაც ხმები ისმის...
ეკიდება ცას აღმური.
ეჰ, რაღას არ გაიგონებს
ყოვლის სმენი კაცის ყური.

1968



ღალი და აუსთა

ბეთქილის ნაშიერთაგან
ბევრი ავი მონადირის
გასროლილი ტყვია აცდა –
ნადირთ მფარველ –
ღმერთქალ დალის
და ასევე მის ქმარს –
აფსთას.

1970



ქართული ცა

დღეები ჩუმად გადიგრვინებენ...

გაუძლებ ათას ჭექას და

ქუხილს.

და... როცა შენს მზეს დაედება

ფერი გუდრონის,

მაშინ, ო, შენი

ქართული ცა, ვით წიწილს

კრუხი,

შეგიჟუჟუებს და

შეგიმყუდროვებს.

2020



ზევის თავის ქალა

(მარინტი)

ადარა ჩანს მეხთმცოროცნელი!

და...

ღრუბლებში ცა რომ

მალავს!!!

მოვარე არა!

არის ზევის* –

თავის ქალა.

1963


* ზევი (ბერძ.) – უზენაესი ღმერთი. ღმერთი ცის, ქუხილის, ელვისა და წვიმის. ღმერთთა და ადამიანთა მამა.



ხილვა: ქარიშხალი ზღვაზე

სანამ ზღვაური ქორივით
ქარიშხლის მოსვლას
იწივლებს
და ყოველივეს იშვილებს!
მანამ,
ვჭკრებ სანაპიროზე,
გაფანტულ ქვებს და
ქვისშვილებს,
როგორც გაფანტულ წიწილებს.

1977



ხილვა: „უ“, „აია“

ათასწლეულების მერე,

აღარა მყავს

ბევრი მომხრე,

მაგრამ მივსდევ სხვა ნიაგს.

ვჭკვრეტ: შუმერთა ღმერთ – „ეას“

და მის პირმშოს –

ჩემს ძველ კოლხეთს –

დიდ ქვეყანას „აიას“.

1972



იუდას ამბორი

რადგან კაცის ცხოვრება –
იუდას ამბორია!
მიტომ მიაქვს ქვეყანა –
ლიქნას ფარისეველთა,
ურწმუნოთ
ქარ-ბორიას.

2020



ჰენიოხებს, კორახებს

საცხოვრისი აქ გქონდათ –
პონტოსთან და
ფაზისთან,
და მტერსაც აქ ებრძოდით...
მაგრამ ახლა რომ გიხმობთ,
ვიცი,
ველარ გაიგებთ!
რადგანაც ხმას ვერ გაწვედნთ:
ჰენიოხებს¹,
კორახებს²
სანებსა³და სანიგებს.⁴

1973

^{1,2,3,4} კოლხთა (ქართველთა) შტოს მონათესავე ტომები.



მზე

აღმოსავლიდან –

იღტვის დასავლით,

თავს აღარ ზოგავს ქარს და წვიმაში,

ხელში უჭირავს მოვერცხლილი

ელვის აღვირი

და დღის ბოლოს კი

მზე იხოქებს მწუხრის

წინაშე

და სიჩუმეში ჩადის დაღლილი.

1978



აღმართ-ღაღმართი

ვინ გაუძღვებს წუთისოფელს,

აღმა კდლიანს,

დაბლა მთიანს.

ვინ დაითვლის ნაიარევს –

გზაზე ვის რა ღამართნია.

რაც აღმართი ავიარეთ,

ცხრა იმდენი ღაღმართია...

2018



ფრთები

ფრთები სივრცეს მიაზომე,
რადგან უფლის სუნთქვა
გესმის
და ცის-მნათთა ნაგების
ეხეტები, ისე ვითა იაზონი,
ენეას და ოდისეუსი
და სული ძველ
საგების

2016



* * *

ზოგჯერ სიცოცხლე ისე გრძელია,
რომ შევისვენოთ
მაინც არგუოფნის,
და მიტომაა ვდგებით,
ვეცემით!
წყვდიადით მოსილ გზაზე
არყოფნის,
მიტომ მივიდივართ ხელისცეცებით.

2019



პეგასი

განსაბანად ელოდა

კოლხური ცის ემბაზი¹

და ხელთეპყრა მთოვარე,

სიმელვარე ლარჭემად²,

როცა ვიღაც უჩინომ,

„ცხენთა შეჯრიბაზე“,

კოლხეთიდან პეგასი³ –

ჩუმად შემოაჭენა.

1960

¹ ემბაზი (ბერძ.) – ქრისტიანული წესით ბავშვის მოსანათლი ჭურჭელი.

² ლარჭემი – ძველი კოლხური სიმებთან დასაკრავი.

³ პეგასი (ბერძ.) – ფრთიანი მერანი.



სკიმია და სვანია

კეისარი კეისრობს...

და სამეფო ღაზეთის,
სპარსეთის დიდ ხელმწიფეს,
თვალს ჭრის სილამაზეთი,
რადგან ზღვის სავანეა.
ღაზთ მოშურნე აფსარებს,
ისევ შიშის ზარს სცემენ,
სკიმია¹ და
სვანია².

1965

^{1,2} – ღაზთა ქვეშევრდომი ტომები.



ცოდვა

შენ ბევრს უყვარდი...

მაგრამ შენ კი გიყვარდა ცოტა!!!

თუმც სიყვარულით იყენენ სავსენი,
ვნება მორეულ გულის პირთამდე!

და დღეს გაწუხებს იმათი

„ცოდვა“,

რომელიც ახლა აღარ გასვენებს!!!

მაგრამ...

ყველას ხომ

ვერ შეირთავდი?!

2020



**ხილვა: თრუსოს ხეობა, წინარები,
ოსები, XVI საუკუნე**

ვჭვრეც ქართველთა დაოსებას,
შური, მტრობა
კვლავ ვაღალეხს...
და, თრუსოდან ჩანს –
ოსებმა,
მიწის მკვიდრი –
წანარები*,
„ჯოხებით ვით გადაღალეს!!!“

1992

* წანარები – ქართველთა ეთნო – კულტურულად მონათესავე ხალხი.



2000

გავიდა ორი ათასწლეული...

დაგვპირდა!

მაგრამ არჩანს მესია!

საწყალ მიწას კი ჭკუით სნეული,

კაენის დელგმა შემოესია.

არ დარჩა მიწა ფეხდასადგამი,

სამხრეთიდან კი კვლავ ქრის –

არავი.

და, აი, ახლა მოდგმა ადამის,

არ ებრალება ქვეყნად

არავის.

2020



ბანთიალი

თოვს და...

უხმობენ დილას მამლები...

ქათქათა ცაზე კვლავ ყივილის
ხაზებს ავლებენ...

ნამძინარევი ვარსკვლავები თვალებს
ახელენ

და ჭერეტენ: ღამე დღის შესახვედრად,
ვითარცა მიდის მთვარის
მარხილით.

1963



* * *

როგორც გაზაფხულის ცა –
ვარსკვლავებით,
მიყვარს –
კაცობრიობით
ადიდებული
სამყარო.

1969



ადამიანი კოსმოსში

მთვრალ მიწას თვალი ცისკენ
უჭირავს
და ჩვენ დავრჩებით ალბათ
ხიზნებად!
რადგან ცის ფასი უფრო იზრდება,
და მე მგონია –
ჩემი თაობა,
ვერ მოესწრება დედამიწის
გამოფხიზლებას.

1961



საშლის არაბეთში

თურმე,

ეს რა ქვეყანაა –
არაბეთი საუდის!

არც წვიმაა,

არც ღარია,
მთვარეც ისე გამხდარია,
ცხვირში ლანდი გაუდის.

1983



უსინათლო

მისთვის ქვეყანა ლუსკუმაა და
ფიქრგაუვალი არის უღრანი,
ის მზეს ვერ ხედავს,
მაგრამ იცის რომ,
ცის უდაბნოში
როგორ მიდის
და მიბუდრაობს...

1973



ბავშვობა

დავიბადებოთ და მზეს და მთვარეს,
მაშინვე ვიჭერთ ხელში
ფარ-შუბად.

მერე...

ისინიც ვეღარ გვიშველის!!!
თავლცრემლიანი
და ფეხ-მიშველი,
ღრმა სიბერემდე მოგვდევს
ბავშვობა.

2020



* * *

ზღვა იყო წყნარი...

სადღაც რბოდნენ ჰორიზონტები...

ქარს წაეშალა –

ცის და მიწის ძველი

სამანი,

და... მაინც სადღაც,

შორეული

სივრცის კიდეზე,

ჰყვოდა მთვარე –

ჩემი თეთრი იასამანი

1974



800

აბე,

რვაასი წელი გავიდა.

რაც, მტკვარს მონგოლთა

მიაქვს ხსენება.

ფოთლებში –

ხეთა გული ცახცახებს.

ქუჩაზე კაცის არ ჩანს ნასახი,

და მე მგონია,

აქ, ვიღაცას მიასვენებენ...

2009



ყივილზე მამლის

ორი ათასი დღე მიიღია,
დღეები –
დღეებს მისდევს...
და დროს გაუდის ყაველი...
მე, კი ყოველთვის
ყივილზე მამლის,
არ ვიცი,
რად მაგონდება ქრისტე?!

1967



**სიკვდილი,
სიცოცხლე**

ხელში უჭირავს ქვის შავი ჯვარი
მხარზე კი უღევს
შავივე ლოდი,
გარემოსილი შავი აურით...
სიკვდილი ფრთხილი
ნაბიჯით მოდის,
ხოლო სიცოცხლე –
მზით და სმაურით...

2020



იღია

მესროლეს მიტომ, რომ გული,

საქართველოსთვის –

მიცემდა!

სამშობლოს მტრებმა რომ მომკლეს

– ხომ მოგკედებოდი ისედაც!

1967



სიყვარული

„ქართველს ქართველი შეაყვარე!“
ვაჟა-ფშაველა

ქვეყანა უცებ გაუდაბურდა...
და აყოლილი აფსუას და
ვიღაც ოსის ხმებს,
სულ აღარ იცნობს!
ვალი არ მართებს!
მაგრამ მაინც, ვით მტერს მოსისხლეს,
ისე უყურებს ზოგიერთი,
ქართველი
ქართველს.

1992



ნარჩენი

ევროპაც ჩვენია და აზიაც...

აქვე ხეთა და

დარჩელია.

და დღეს ქვეყანაზე –

რაც კარგია და

ღამაზია,

ატლანტის ჩაძირვას გადარჩენილი –

კრეტა – მინოსური კულტურის

ნარჩენია!!!

1966



14000

ძნელია ყოფნა იობად,
თუ წუთისოფელს ენდე!
როდესაც კაცობრიობას,
თოთხმეტათასზე მეტი,
ომი აქვს გადატანილი,
დაბადებიდან –
დღემდე!

1963



კვამლი

მწარე კი არა,
ტკბილია კვამლი,
სხვისი კი არა, მშობლიურ ბუხრის,
ასევე დილით –
ყვილი მამლის,
რომ გადაუვლის მძინარე
სოფელს,
ისე ამაყად, ქედს არვის უხრის.

1960



* * *

აზე კი არა!

„კოლხური ფსალმუნების“

ოცდაათ ტომეულზე

ვფიქრობდი ადრე!

ცოლს გავანდე და...

შევეცოდე!!!

მითხრა – გეყოფაო!!!

შევხედე...

რა სულელი მყოლილხარ-მეთქი,

კკადრე!!!

2013



ბედისწერა

შორს მიდია და ხეთია...

ახლოს,

თვალში ჩაუმქრალი,

ჰელიოსის მზე ირწევა...

აიეტის –

კოლხეთია,

ჩემი გზა და ბედისწერა.

1959



ქრისტე

ადამის მოღვმის ვერ ძლება
თვალი,
თუმც მათ სიმდიდრეს
ვერავენ დათვლის...
მაშინ, როდესაც,
ერთადერთ კვართით,
ჩვენი ცოდვისთვის –
ქრისტე ჯვარს ეცვა
და...
იქცა ზეცად!

1968



ელღორადო,
კოლორადო

ედგარ ჰოს – ოქრო...
შენ გეძახის სიტყვის
მადანი,
სხვა ეპოქა და ახლა სხვად დროა!
ბნელია ყოფნა და ამაზრზენი,
კოლორადო და
ელღორადოა,
შენთვის ეკის მთა და
ნარაზენი.


1970



ბაღში

გახარებულმა აქ ყოფნით,
წინას რომ აჯობა
უკანამ.
და... გიხმობს კვლავ ატმის
ნაყოფი,
სახე რომ უგავს პატარის
გაპისკენიებულ უკანალს.

1954



„კოლხური ფსალმუნების“
100 – ტომეული

უფალი ჰყავს მფარველად,
ვინც რას თესავს,
მას მკიდეს!
და არესის ჭალაში
იმ ურჩხულ მოდარაჯე,
და ცადაწვდილ მუხაზე,
შენ, საწმისის მაგიერ, –
„კოლხური ფსალმუნების“
100 – ტომი დაკიდე!

2020



გორბასლის...

და დავითის საუბუნე

საქართველო შურს და მტრობას,
სულ ხელთეპურა განუკურნელს!
(რაც ქუდბედად ოდით აყვა.)
თუმც ურწევდა სააკაძეს
ქართულ აკვანს,
გორგასალის...
და დავითის საუკუნე.

1966



ჰომეროსი,

დანტე და

შექსპირი

სამეაროს სიევარულს შესტირი,

ვერ იტან –

მიზანთროპებს*.

და მიტომ „კოლხურ ფსალმუნებში“ –

ჰომეროსი,

დანტე და

შექსპირი,

ვით შოთა,

ვაჟა და აკაკი,

სიამტკებილობით ბინადრობენ.

1961

* მიზანთროპი (ბერძ.) – კაცთმოძულე.

„მე ვარ ის“
(პარიანტი)

სამყარო ტანზე ჩუმად უნდა
შემოიქსოვო,
ვით აბრეშუმის ჭიამ პარკი და...
გადაიქცე ჭუპრად...
და მერე პეპლად!
(და მოიხადო ვალი მევალის!)
მერე გამოჭრა,
გამოფრინდე,
ვითარც გონი!
და სთქვა: „მე ვარ ის“!
(„ვიეკანანდა“).

1965



**პლუტონი,
ცერბერი,
ატლანტი**

სამყაროს თავს რადგან უტოლებ,
სუფს,
რადგან ვარსკვლავებს
ატანდი,
ზესკნელში – მიგელის პლუტონი¹,
ქვესკნელში – ცერბერი²
და ატლანტი³.

1963

¹ პლუტონო (ბერძ.) – პლანეტა, რომელიც მზისგან 6 მილიარდი კმ-თაა დაშორებული.

² ცერბერი (ბერძ.) – მიწისქვეშა სამეფოს (ჯოჯოხეთის) დარაჯი სამთავიანი ძაღლი.

³ ატლანტი (ბერძ.) – იგულისხმება არა ტიტანი, არამედ კატასტროფისგან დაღუპული პლანეტა, სახელმწიფო, ქვეყანა (ამჟამად ატლანტიკის ოკეანე).

სული

გაჩენის დღიდან ცისკენ იურვის,
ასწლეულები ასე გადიან
და ვარსკვლავების გვესმის არია.
ქვეყნად ყოველი ცვალებადია,
ერთადერთი კი სული
არის მარადიული,
რომელიც ცაში –
ღმერთს აბარია.

1977



* * *

ჩემს კოლხეთში ვარსკვლავები ისევ,
ამძიმებენ ღამეულ ცას კოლხეთის
და აღსავლით ისმის –

ფაცი-ფუცი.


შენ არ გძინავს,

წევხარ დარდის კართან

და მესამედ,

მამლის ყვივლს უცდი.

1953



3000 დანტე ალიგიერი

მწუხრის ლოცვაზე როდესაც,
ღვთის მაღალ ტაძარს შვეუვლი,
(სავსე ქართული იერით)
ხატთან მუხლმოყრით ვჩურჩულებ,
ვით დანტე ალიგიერი:
„უფალო,
ხარ კურთხეული“.

1981



**ჩემი მზე,
მთვარე და
ვარსკვლავები**

ვითარცა ჰელიოსის ძე,
ლოცვა-ვედრებით
სანამ ცად ავალ!
მე, ჩემი მზე მყავს,
ჩემი მთვარე
და ვარსკვლავები –
საფიცრადაც და...
სალოცავად.

1963



* * *

ჩვენი ღომეული წინაპრები,
სამშობლოს მტრებს
მიტომ შეაკვდნენ?!
საქართველოში სიბლით ხელში
საქებარი რომ ჰყოფილიყო:
მეხრე,
მეგუთნე, (ვახმე!)
მეაკვნეც!

1957



ჰერკულესის ოქროს სვეტები

მიღმა ზღვათა და

ოკეანეთა,

ჩანს ჰერკულესის ოქროს

სვეტები.

და გზას იქითკენ მისდევ

ელვიანს.


სხვა სივრცეები და

პლანეტები,

ხელებს გიქნევენ

და მოგელიან...

2019



ატლანტი

„ოქრო მრავალ კოლხეთს“ და...

კოლხურ ცას,

ვარსკვლავებით სავსე ცას,

ჩინახვი

და „უცხოს“ არავის იკარებს.

შენ კი კვლავ დგახარ ზღვისკარად,

ისე, ვით ტიტანი ატლანტი

და... მხრები გიჭირავს –

პოეზიის ცის თაღი!

2020



ხილვა: იახონი კოლხეთში

არესის ჭაღას,

ვითა ადრე,

დაფნით მოსავდნენ,

რადგან დგებოდა დილა ხარების!..

კოლხთა მიწას კი

ვიღაც ხნავდა

რკინის ხარებით!!!

წუხდა აიეგ!..

და ეს ხდებოდა ათასი წლის წინ

ქრისტეს მოსვლამდე.

1960



ურწმუნო თობა

ის ყველგანაა –

ამ ცისქვეშეთში

და როცა გვიჭირს

საშველად ვუხმობთ!

(ნახვის მსურველთა დიდი რიგი!)

ვიღაცა ეჭვობს...

და ამბობს უხმოდ:

თუ ყველგანსაა,

გთხოვთ, მაჩვენოთ,

სად არის იგი?!

1957



ჩემო კოლხეთო!

რაც რამ მებადა შემოგწირე
როგორც სალოცავს!
ეს ისე...
ქვეყნად აღარაფერს აღარ გამადლი.
გმადლდები უცებ,
გამიღიმებს შენი ცა როცა.
და შარი-შური ჩამესმება
მთვარის აფრების.

ჩემო კოლხეთო!

აიეტის დიდო კოლხეთო!
ათასში ერთხელ,
სიყვარულით მინდა
მომხედო,
შენს „მეფსალმუნეს!“...
სხვა არაფერი!

2020

ეკლის გვირგვინი

ურწმუნოთ ცაზე ასწლეულებმა

ჭექა-ქუხილით

გადაიგრგვინეს,

და მოასწრეს მარადთან შერთვა.

შეხედეთ ქრისტეს,

თავზე ადგას ეკლის

გვირგვინი,

ო, იმ გვირგვინმა

კაცი, როგორ

აქცია ღმერთად!

1957



ზღვაზე

თეთრი,

ფუმფულა, ვით ხოხბის ლაპი,

პატარა ქვასთან –

სულს დაფაფს ქაფი.

ისმის ქარის ხმა...

ზღვაზე ავდრდება!

და, ვით ბუდეში

ძერის ქარდები,

ეპიძგლიავეებიან ტალღები ნაპირს.

1956



ისე, ვით აქილევსმა

(ვარიანტი)

ბევრჯერ ისარ ნაკრავი,

შენი ქუსლი,

კვლავ ქუსლობს.

მიტომ ხმალს აქილევსავ!

რომ მდიმარემ გაქუსლო,

ამ სოფლიდან –

იმ სოფლად,

ისე, ვით, აქილევსმა.

2020



უსაზღვროება

„სულს სწევრია საზღვარი,
როგორც უსაზღვროებაში“
გალაკტიონი

ბნელს მოუცვია მთელი სამყარო!
და შენ ამ წყვილადს –
რადგან ააღებ!

შენი დღეები,
რადგან მზეზე პერანგს იშრობენ.
სინათლის ფრთებით,
ვითა გრაალი,
დაესაზღვრები სივრცეების ცას
და... სიშორეს!

1961



გველის პერანგი

კაცობრიობა –

არხეინად უზის

მზის კერას,

პირველყოფილი სიცბიერით

და სივერაგით!

გველმაც,

თვით გველმა,

სამყარომ ვერა!!!

ვერ გაიხადა დაგესლილი

უფლის პერანგი!!!

2020



ც ა მი შ ა

მიილუკმება ღამე,

მთვარის მოშავო ყუას.

და თან იფარებს ღრუბლებს
ელვის ძაფებით ნაქსოვს.

რადგან საყარო ყრუა,

რაც დაავეიწყდა მიწას,

ცას ყველაფერი ახსოვს.

1969



**ტაბალ-თუბალნი,
ქაშბ-ქასკები**

ჩემი ფიქრია – ელვის ხეტები,
კოლხეთის წყვილად
წარსულში რომ
დაეხეტება
და დავიწყების კედლებს ასკდება –
სადაც პელაზგურ¹ ტაბლას
უსხედან:
ტაბალ²-თუბალნი³,
ქაშხა⁴-ქასკები⁵,
ქაღდეველები⁶,
მოსხენბ⁷-მუსხები⁸.

1968

1,2,3,4,5,6,7,8 – კოლხთა (ქართველთა) მონათესავე ხალხი.

* * *

რადგან სიცოცხლედ
ჩემთან მოხვედი!
სანამ იქნება ჩემს ფიქრებში
შენი ხსენება,
ქვესკნელი არა,
თვით ჯოჯოხეთიც,
აღბათ სამოთხედ –
მომეჩვენება!

1975



ზღვა

დრო და ჟამის დამნაყავი,

ვით ფილთაქვა

და როდინი.

კანში ვეღარ დატეული,

მარტოსული და ეული...

სულ ქარიშხლის მომლოდინე

ზღვაა –

ჩემი ორეული.

1962



ციხე ბოჯი

აქ – ცამდეაწვილ ციხის კედლებთან,
შეხერებულა ჟამი-მედინი.
ციხისმცველთაგან –
არჩანს არავინ.

და მაინც ჟონავს ქონგურებიდან
ათასწლეულთა ხმა –
გაკმენდილი.

1969



* * *

ელვის ნალებით დაჭედებმა,
მთებს გადუქროლა
რემამ ღრუბლების.
ჩანს და არცა ჩანს მთვარე ნეკნივით
დედამიწაზე –
ლამობს ჩამოსვლას,
ცისარტყელებით ცა გადრეკილი.


1970



ხორბა

დგას მოწყენილი ოდა მეგრული...
ოდეს ბაღნარად ქცეულ
ეზო-კარს,
დავიწყება კვლავ უსვამს შალაშინს,
მაგრამ ბოლომდე არ ემატება!
და მიტოვებულ –
მამის ყანაში,
მამის აჩრდილით დაეხეტება...

1985



* * *

ჩემთან ხარ!

მაგრამ მაინც მომწყურდი,
რადგან სიცოცხლის –

შენ ხარ მაყარი!

და მეც შენსავით ისევ მახარებს,

შაშვის გალობით –
დილა მორწყული.

1969



ანდუზი

ივლისის სახმილს გაქცევია
რემა ღრუბლების
იწვის ქვეყანა...
დღეა მზიანი.
ცა ძირს ჩამოდის დაუფარავდ.
ქედადრეკილი და
კუზიანი –
მთები, საჰარის ცხელ უდაბნოში –
ზღაზვნით მომავალ აქლემების
ჰგვანან ქარავანს.

1983



უპილო ღამე

უკვე მესამედ ყივის მამალი...

და რა ვქნა ძილი

არ მეკარება.

დღეებმა ჩემი მზე გადამაღეს,

როს ღამეს ღიად

დარჩა კარები!

ფიქრი – სამშობლოს

ლაუვარდ ცად ქცევის,

ვარსკვლავებისკენ –

კვლავ მეპარება.

2020



მხარგრძელებს და ათაბაგებს

საქართველო კი უყავრდათ,
მაგრამ მეფის სიყვარული
ვერ ითავეს!!!
აი, ახლა, დამუწენიათ
სიმწრით ბაგე! –
ერთმანეთთან ომით დაღლილ
ერისთავებს,
ქვე – გამხედვარ –
მხარგრძელებს და
ათაბაგებს.

1966



პლინიუსი და პტოლემე

ისტორიის ამაყ მამებს,
თუკი დავუჯერებთ ხოლმე,
რომ კოლხეთი ეკუთვნოდათ
მხოლოდ მეგრელებს და ლაზებს –
ამგვარად წერს პლინიუსი¹
და კვერს უკრავს მას პტოლომე².

1974

1 – პლინიუსი – რომაელი მწერალი (I ს)

2 – პტოლომე – ბერძენი მეცნიერი (II ს)



რადგან გინთია მადლის კოცონი,
უზეშთაესის ხარ შეცნობილი,
ლოცვით მთეველი –
მზიან ღამეთა...
შენი სიშორე ცეცხლს უკიდებს
ციურ ცდომილებს,
თანამსრბოლი ხარ მოციქულთა
და მოწამეთა.

2009



ადრე სხვა იყო...

ზღვები

მთების ჯიღებს იცემენ

გულზე და თვალი ცრემლით ევსებათ...

ადრე სხვა იყო...

ცა იყო მიწა,

ვარსკვლავები კი იყო ხეთა –

ოქროს ფესვები.

1977



ჩემს ხორგაში ვარ,

აწ მხცოვანი

და აწ ხნიერი.

თან მახლავს ჩემი ვაჟა და ნატა.

უამია მწუხრის...

მიუყვება შუკას ნახირი.

ჩემს ნასახლარზე აფრინდა ყანჩა...

– ვაჟა!

ვაჟა! –

უცებ მესმა დედის ძახილი,

დედა კი...

არ ჩანს!!!

2013



ან მარეს¹ და აიეტის² –
დიდ კოლხეთის და
ქიმეთის,
ღობე-ყორეს კვლავ ვედები.
მჯერა მათზე თქმულებების,
მითების და
ლეგენდების.

1979

1-ან მარე – კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე) მითური მეფე
(5185_5120 წწ)

2 – კოლხეთის მითური ხელმწიფე (XIV-XII ს. ჩვ. წ. აღ)



სიცოცხლეში აღარ ძაღუძს მენცარს,
თქვას წინდაწინ –
ვის რა ბედი ელის,
ან უძილოდ სიზმარი რომ ახსნას.
იოლია ჯოჯოხეთში ჩასვლა,
სამოთხემდე ამაღლება – ძნელი.

2004



ისევ ლოდინი

აღარსად წვიმის ტყლაშა-ტყელუში,
კოცნა,

არც სიძვა.

დრო ნელა მიდის...

აღარ იღევა...

და...

რა ხანია მოვარეს –

სასიძოს,

რომ მოეღიან ქალწული –

ვარსკვლავები –

სულის მიღევით.

1987



მზე გველეშაპს გადუყლაპავს
და მთვარეც გრძნობს
შენს სიცივეს!
დღე და ღამეს ჭკრეტ ვით ორ ზღვას,
და...
ცა თვალში შეგციცინებს,
ვით სამყაროს ხუროთმოძღვარს.

2010



ათასწლეულების მერე,
მათზე შური რომ ეძია,
ჩემმა ჟინმა სდია ოხრებს*,
მათ, ვინც ყოფნა გაუმწარა –
კოლხებსა და
დიაოხებს.

1978

*ოხრები – იგულისხმებიან ასურელები და
კიმირიელები



ქალღვეელთა ქვეყანა

შემოდგომით ისმოდა –

საამო ხმა "ნადურის"...

(ხვათი ოქროდ ეყარა...)

დღე – მზე დაჩახჩახებდა,

ღამით – მთვარე "ქალღური",

ზღვიდან – ზღვამდე გადაშლილ –

ქალღვეელთა ქვეყანას.

1979



წარმავალია ქვეყნად ყოველი,
თვით ცაც,
რომ იქნეს
მთვარის მარაოს,
მხოლოდ სიკვდილი არის უკვდავი!
სხვა დანარჩენი ჰაერია და
არარაობს,
მაგრამ შენა ხარ მზის ნაშიერი
და მზე გმფარველობს
პოეტ-ფარაონს.

2012



ქარიშხლის ძახილზე ტალღები,
ჯერ ნაპირს დაეყრდნენ
იდაყვით
და მერე, ისე, რომ არავინ ელოდა,
ნაპირთან ინახად –
წაწოლილ ქვა და ლოდს,
ამოჰკრეს პანდური,
პანჩური,
ჭიტლაყი.

1971



ნაირის და ბიანას

წარწერებში ხმა ისმის შორი
და საკვირველი,
რომ ქვეყანა ნაირის,
ურარტუს და ბიანას,
იყო ქალდი ხელმწიფის –
ტუკლატ-ადარ პირველის*
სამფლობელო მთლიანად.

1981

*ტუკლატ-ადარ პირველი (1275 წ. წ. აღ)



ათასწლეულების მერე,
ისევ ჩუმად ვიჭვრიტები
ისტორიის ფანჯარაში,
ვხედავ: ასურეთთან მებრძოლ:
ხეთელ მეფეთ: დიდ ტუშრატის,
და ტარშუადარაშის.

1979



პონტოს სანაპიროზე

მითებიდან მოსული –

პონტოს სანაპიროზე –

მიჰყვები არხინად

კოლხურ სიბრძნით დახუნძლულ, –

ძველი ისტორიის და

ლეგენდების ხეივანს.

1979



მატიტელა

გვირილები ფართო თვალებს,
წამით აღარ აშორებენ,
ის მინდორზე დგას
ტიტველა,
და არაფრის არ რცხვენია,
პირმშვენიერ მატიტელას.

1966



ორი ვაჟა

ვით ღვთაება "ოდოიას",
ვიდაც უმღერს –
"ორირაშას",
რომელმაც მზის საქართველოს,
ერთი – მთიდან,
ერთი – ზღვიდან,
მოუვლინა ორი ვაჟა.

1994



უღებო

ვით ზღვისკარად მცხოვრებ ჯიქებს
ადრე...

ლოცვით ღამენათევთ,
ქართულ ხეზე მათ აქვთ ბუდე,

და...

ვით ქარში მბჟუტავ სანთელს –
ღამე ელოდებათ უღებს.

1998



კონდაკი და ტროპარი

საქართველოს –

"კოლხეთის

ისტორია" მოპარეს,

მაგრამ ვეღარ წაიღეს:

აიეტის "ქვეყანა"¹,

კონდაკი² და ტროპარი³.

1979

1 – იგულისხმება "ოქრომრავალი ქვეყანა" – (აპოლონიოს როდოსელი)

2 – კონდაკი – (ბერძ.) საეკლესიო წიგნი

3 – ტროპარი (ბერძ.) საგალობლები



კვლავ ეხვევა მუხას მუმლი,
ანგელოზთა სახელით.
და შენს "კოლხურ
ფსალმუნებში"
მოვლემი ბევრი საიდუმლო –
ელის თვალის ახელას.


2001



ზურაბ ქაშიანიძე

გრგვინავ ათასწლეულების
ქარიშხალმა ზღვად არწია,
ნაშიერი ქურუმ-მოგვთა.
შუმერთაგან დღემდის ერთმა
"მოაღწია"
და... ახლახან –
ისიც მოკვდა!!!

2014



აბოს ნიში მეტეხთან

მეტეხთან წამს შეისვენებს მტკვარი,
გაიბრწყინებს ქვები

ხსოვნად თლილი –
დიდ მოწამის – აბოს ნიში წმინდა!
მთაწმინდიდან –

გადახედავ თბილისს,
გულში იტყვი –
ყოფნა ამაღ ღირდა.

1966



საცალფეხო ბილიკებით,
უამს ცისკრისას
მოდის "ლილე"
და სიხარულს არიგებს.
სულის ფრთას და
სულის თვალს კი,
ჩუმად აძლევს არსთგამრიგე,
მეცხრე ციდან –
მოვლენილებს.

2010



არამსუტუ

პოეზიის მიუვალ კლდეს –
 ჩამოგლიჯე დიდი ლოდი
 და ენგურთან ჩაიხუტე.
რაგან გფარველობდა ოდით
 გმირთა-გმირი –
 ამირანი –
 ესე იგი – არამსუტუ.

1969



მერე...

ჰე, კოლხეთო,

ჯერ არ გიჭირს!

უამთან ბრძოლით გაგაქვს

ლელო.

ფიანდაზად მზეს დაგიფენს...

მტერი ბუხსაც ვერ

აგიფრენს,

სანამ გაუა ეგრისელობს!

მერე...

2014



ცა ვარსკვლავების ზარებს არისხებს,
ჩუმად მოისმის მოვარის გოდება.
სადღაც მზის შავი ჩანს
ნაწვერალი!

ღამის იქიდან –
წერამწერალის
ხმები –
სულ უფრო გაიხლოვდება.

2014



ბიბლიიდან გამოსული

ხარ პოეტი მეხთა- მტეხი
და გეძახის მთა –
ორსული.

შენ დადიხარ...

და გიჭირავს
ხელში თოფი, ვით იაშვილს!!!
ბიბლიიდან გამოსული,
კვლავ შედიხარ ბიბლიაში.

1993



მნათებში მიფერმკრთალებენ
ღრუბლების შავი ქედები.

მთვარე ჩანს –

შორს ეიფელად.

ღამიდან –

დილა თენდება,

როგორც ჭუპრიდან პეპელა.

1976



ქრისტეს ბოლო სიტყვები –

“ელი, ელი, ღიმა საბაქთარი*”.

სანამ სიცოცხლის კარებს

მოვხურავ

(თითქოს და "მმარი" არ დამელიოს)

ჯვარზე გაკრული გიხმობ

კოლხურად –

*"ნუ მიმატოვებ, მამა ჰელიოს!"

1999



ღრო – ენგურივით მარადმედინო

ოქროს მთიებით გადაწინწკლული,
ცას ხელთუპყრია მთვარის მერდინი
და ღამეებში სიკვდილს გვაჩვენენ..
ღრო –
ენგურივით მარად მედინი,
ვეცადე,
მაგრამ ვერ შეხერე!

2014



ჟამი ჟამო

ვერ მიენდობი წამითაც,

"უჟამო ჟამი" ვერაგია.

შენი კოლხური ფსალმუნები",

ქაჯავეთში –

უხილავის ხელით ნაქსოვი

ჯაჭვის პერანგია.

1993



მედიუმი

ყოფნა,

არყოფნა,

აქ უფლობს ორი...

სიცოცხლე – წამია და წარმავალი...

სიკვდილი –

წევრია სხვა ამაღის.

და... ცოცხალთა და მკვდართა შორის,

მედიუმი* –

შუამავალი.

1983

*მედიუმი (ლათ.) – პირი, რომელიც გარდაცვლილთა "სულებთან" ამყარებს ურთიერთობას



33

დრო აღვათ მარად ნათელი,
დღე არ ეცვლებათ ღამეთი, –
ცაში უფალთან წვეულებს.

გჭკერეტ: ქრისტეს ოცდაცამეტი
წელი,

ვითაარ მიითვლის,
მომავალ ათასწლეულებს...

1971



აღკეოსი,
საფო,
ანაკრეონტი

კოლხეთმა კი,
წარბი – კავკასიონის,
რისხვით მაღლა აზიდა!
თვალებს ასეღს ღამაზი ტბა – მეოტიის.
პონტოს ტაღღებს ხმები მოაქვთ
ფაზისთან:

აღკეოსის¹,
საფოს²,
ანაკრეონტის³.

1969

1,2,3 – ბერძენი პოეტები (ძვ. წ. V – IV სს.)



ერთბულება

სამშობლო სხვაა...

სხვანაირი აღერსი უნდა!

სხვაა სამშობლოს ზღვები

და მთები.

შეხედეთ ფრთოსნებს,

თბილი ქვეყნისკენ

ვით ფრენენ გუნდად,

მე და ბელურა აქ ვრჩებით და...

სიცივით ვკვდებით.

2014



სიცოცხლე

სიკვდილი უტყვი და მდუმარეა.

მზე – ცეცხლისთვალება,
ღრუბლებში მოხანს წავად*.

სიცოცხლე?! –

იგი სტუმარია,
წამით შემოივლის და...
წავა.

1970

* წავი – თახვი



✽

სადღაც ფეხის ხმა ისმის ქარიშხლის,
ჩუმად მილაღავს ზვირთებს –
ზღვის ფარას –
და გამოუტანს ალბათ განაჩენს!
ცა კი ხანდისხანს,
ვით სარცხეუნელს,
მზეს გამოაჩენს,
მაგრამ იმ წამსვე
ღელვის ფოთლის
ფერით იფარავს.

1976



300 აქილევსმა

თავს ზოგჯერ ჩუმად გახსენებს
ლექსი,
ისე, ვით მაშინ, აქილევსს ქუსლი.
და საბრძოლველად ხმაღს კვლავ
ილესავ,

რომ "დიდი ქვეყნის" –
ხილვად მოქუსლო,
მზის ფართი ხელში,
ვით აქილევსმა.

2011



300 მენცარი დანიელი

დავიწყების სარეცელზე
მიძინებულ ქალდეველთა
სულს უფალი გააღვიძებს
(რადგან უხმობს და მიელის).
და იყვირებს –
ქალდეურად,
ვით მენცარი დანიელი.

1978



უფლის ხელით დარწმუნდი,
მშობლიური ხეთა ორო*,
და სამოთხე ნუ მეღირსოს!
ქვეყნად წუთი თუ მეცხოვროს,
უკოლხეთოდ!
უეგრისოდ!

2014

*ორო (მეგრ.) – ჩრდილი



ჰებერა

ასე ყოფილა,
ყოველივე ღიქნით
იწყება,
შეხედე იმ შენს ძუნა
ჰეტერას,
როგორ უყვარდი თავდავიწყებით,
და ახლა,
როგორ გადაგემტერა.

1969



სუშხეველი დევები

ავსულებით ავსებულა,
რაც ღრეა და
ხევებია...

ტკივათ,
ტეხავთ მთებს სახსარი,
რადგან არ ჩანს იახსარი,
მიგრიაულთ რომ ღრეობენ,
სუშხეველი დევებია.

1963



ამ წუთისოფელს ბევრი ეღავა,
ბევრჯერ მოუხდა –
ბედთან კამათი...
და მერე გამჩენს გაუბეღავად,
თხოვა სიკვდილი...
და „უსკლეროზოდ“
წავიდა ჩუმად...
სად-საღამათი!

2019



სეგედილია

ცხოვრება ცეკვა და სიმღერაა,
ესე იგი – სეგედილია¹.
და სწორედ საქმე

ამაშია,

ყოფნა,

არ ყოფნაა

და სიცოცხლე –

ნახევარი სიკვდილია.

1961

¹ სეგედილია (ესპ.) – ხალხური ჩქარტემპიანი ცეკვა



ოსანა

(როსანა გოგიას)

კოლხური ციდან ჩამოფრენილი
ანგელოზი ხარ როსანა!
სიყვარულისფერ ხოტბას
შეგასხამ,
მითხარი, მეტი რა ქნას მგოსანმა?!
და... საიდანღაც ხმები მოისმის:
როსანა!

ოსანა!¹

ოსანა²!

1954

¹ ოსანა (ბერძ.) – გვიხსენ

² ოსანა (ქართ.) – ღიდება



ენჭიდუ და ბილბამეში

სუთიათასწლეულია
ტიგროსის და
ევფრატის პირს –
უკვდავების წყალს რომ ეძებს,
ცხელ დღეებში,
გრილ ღამეში...

ხმა მეცნობა:

ენჭიდუა!
ანდა არის –
ბილბამეში.

1960



300 ხიროსიმა და ნაგასაკი

ჟამს მიმწხრისას სასაფლაოზე
მდგარი ბებერი ცაცხვის
ტოტიდან
ცივი ყიყინი ისმის ვასაკის:
– მეც ვარ იქედნეს
შთამომავალი,
არავინ იცის ჩემი ასაკი.
გადამწვარია ჩემი სამეფო,
ვით ხიროსიმა
და ნაგასაკი.

1979



ექო

შორეული წარსულიდან
წინაპრთა მოდის ექო:
– სოფლად რთველი
აღარ რთველობს
და ქალაქი ქალაქს არ ჰგავს...
რა დღეს,
რა ხვალ
საქართველო,
უკოლხეთოდ თავს დაჰკარგავს!!!

1959



სიხარული

აკადემიკოს აპოლონ გადელიას

როდესაც გნახავ,
გამიხარდება,
და აღიძვრება ძმობის მორევი...
სიყვარულის კარს
ჩემსკენ მოვხურავ!
მოვალ ძვირფასო და ძველ
კოლხურად
მარჯვენა მხარზე გეამბორები.

2019



ღვთისშვილები

როცა გაიგეს,

დევებმა

ხალხს მიაყენეს ზიანი!

წამს ხვთისშვილებმა ჩოხების

კალთები აიკარწახეს

და ამოწყვიტეს დევები

არხოტს და

უძილაურთას,

გომეწარსა და

კაწალხევს.

1962



**აიეტის მერმინდელი კოლხეთის
მეფეები**

ჰონტოს პირას ქარის ენით

მესმის ზვირთთა ლაპარაკი:

– აქ, ყულევთან საარაკე

ბრძოლა ჰქონდა მეფე აკეს¹,

ხარატა² დიდს

და სავლაკის³.

1960

¹ აკე – 340-310 ძვ. წ.

² ხარატა – 420-400 ძვ. წ.

³ სავლაკი – 460-420 ძვ. წ.



ვარსკვლავი

ათასეულ სინათლის წლის –
სიშორიდან ძირს ჩამოაქვს
ღამეს სხივი და მოტივი,
ყოფილი და არყოფილი,
და... ვარსკვლავი თავს მაწონებს
ცის ტოტიდან,
ჯარგვალთან მდგარ
ბროწეულის ნაყოფივით.

1958



ნაბუქოდონოსორი

იმ დროს როცა სამყარო
ჰგავდა გამხმარ მუხას ან
ტოტგაბარჯულ ხმელ წიფელს
მაშინ ზღაპრულ ბაბილონს –
ლეგენდებით მოქსოვილს,
ჰყავდა რვა ქაღდეველი
მითიური ხელმწიფე,
ვით ნაბუქოდონოსორი.

1964



მტკვარი მეტეხის ციხესთან

(ვარიანტი)

ათასხუთასზე მეტი წლის წინათ,

მახსოვს აქ იყო გაუვალი

ტყე და ეწერი.

და ღამეები ხელმწიფესთან

ერთად მეც ვტეხე...

აი,

ახლა კი მტკვარი –

მეტეხთან

ჰგავს გორგასალის უკვდავ ხელწერას.

2001



სტუდენტობა

ბინა?!

თაგვი კუდს ვერ მოიქნევს!

ციდან მოვარე კი,

როგორც სიბილა

დასცქერის მიწას...

და მე მარტოვარ.

კი, ერთი ორჯერ სიხარულმა

შემოირბინა,

ვით ფეხშიშველმა გოგომ

მეზობლის,

და მერე დაფრთხა...

და მიმატოვა...

1956



ხორბა

ჩამოველ, სოფელს მონატრებული...
კვლავ მივალ უკან,
ამ სამოთხიდან,
მაგრამ უეცრად მოსეს შუკასთან,
ფეხმოღრეცილი
და ცხვირკაუჭა,
არ გაგიშვებო თბილისს,
აქედან,
მოულოდნელად ეკალ-ბარდი
ჩამებლაუჭა.

1956



მტკვარი

თუნდაც რომ იყო წვიმა და ქარი,
მეტეხთან მაინც ჩერდება
მტკვარი,
რომ იქვე ახლოს –
ველზე კრწანისის,
/სადაც ბრძოლის ხმა
ახლაც გაისმის
და წარსული დაღატს დასტირის.../
დაცემული არაგველების
ხსოვნას მიაგოს წუთით პატივი.

1967



ფშავში

„ ... დევი გაიქცა და აბდელაურის
ტბაში ჩაძვრა“

ქართული მითოლოგია

თუმც ცოტა დამაგვიანდა...
დევების შეშინებული
ხალხის მომესმა ხმაური...
ლახტი რომ ტყორცნა კოპალამ,
იმ დევს დავექებ
ნიადაგ,
დიდ ტბაზე აბდელაურის.

1959



ციცინათელა

ციდან ჟონავდა მთვარის ციალი,
მაგრამ უეცრად ხმაზე
ქუხილის,
ყოველივე წვედიადმა დაფლა...
და იმ წვედიადში
ციცინათელა
ისინალებდა ხსოვნას წვეთ-წვეთად,
თითქოს მაჩაბლის
ეძებდა საფლავს.

1958



2007

მომწუხრისას სამეგრელოს
დამაშვრალი, რომ შევუვლი,
გნახავ „ფსალმუნების ბაღში“
ორივე თვალდახუჭული,
ვით მამალი შაშვი გალობ...
და სამოცდაათს –
მიღწეული,
დადიხარ და...
დაფრანგალობ.

2007



* * *

ზეცას მუცელი უცებ ასტიკვდა
და წყალიც უცებ გადმოიღვარა
ღრუბლის საშოდან.
გამთენიისას ღამემ მთვარე იმშობიარა.
ელვის ჭიპლარიც გასკდა და
სიერცეს გაშორდა
და თავს დაადგა პირმშოს ტიარა.

1985



* * *

მზე კვლავ მზეობს,
არ ჩასულა,
სხივებს ფანტავს ბარჩხალიას,
შორით მთების ჩანს მწვერვალი
ზღვას ფრინველნი
დაჩხავიან,
თითქოს იყოს ნაწვერვალი.

1986



* * *

ჩემი ცხოვრების საჯინბოში

ბერი დილა და

საღამო ება.

არყოფნას, ყოფნით დიდხანს ვეომე,

მაგრამ ვერაგზით,

ვერ დაუთრგუნე

ამაოება,

ვერ გადავლახე ვერც სტიქსე¹ და

ვერცა ჯეონი.²

2007

^{1 2} ჯოჯოხეთის მდინარეები.



მთები და ბილიკები

მთები –
ციდან მოსულები,
ისევ უკან ბრუნდებიან,
რადგან მიწა მოირთველეს.
ახლა მაღლა ადიან და
რომ მისთრევენ,
ბილიკები –
მათი გრძელი კუდებია.

1978



ბურიაში

მშვიდობაურთან მუხა შემოგეხვდა,
ბებერს სიცოცხლის ჰკლავდა
წყურვილი
და იღვა იგი ასაკს მყვირალი.
გზა მიდიოდა –
კრიმანჭულივით
და ხელს გვიქნევდა ნასაკირალი.

1973



* * *

გადაშლილია კიდით-კიდემდე
ცა – ვარსკვლავების
სათეს-სახნავი.
არ დაჭიხვინებს ქარი – კენტავრი,
გატრუნულია და წამწამებს
არ ახამხამებს,
ვის უსმენს ეს ზღვა ახლა,
ნეტავი?!

1979



* * *

ახლახან რომ თეთრი ეცვა,
შავს ჩაიცვამს უცებ ზეცა,
იწვიმებს და ითოვებს,
რადგან სევდა ვეღარ ზიდა.
მერე ქარი,
ვით თოლიებს,
ამოაფრენს ტალღებს ზღვიდან.

1995



* * *

„შუმერი და ქალდეა –
ერთი და იგივე ქვეყანაა“.
„ძველი აღთქმა“

ათასწლეულების მერეც,
ეს მთები შუმერთა,
შორიდან იცნობა.
კიდიდან-კიდემდე გაშლილი –
ფართე ველებიაა.
და ვარსკვლავებზე რომ მისნობენ,
სხვანი კი არა,
ქალდეეკლებია.*

1971

* ქალდეები – მეგრულ-ლაზურ-ჭანური შტოს უძველესი
სახელწოდება.
P.S. ქალდე – წარმართული პანთეონის მთვარის ღვთაება.

* * *

თოვლის ქათქათა სარეცელზე –
წამოწოლილან მთები –
ორსული
და თავს ევლებიან ენგური და
ჩხოუშია.
მთვარე მდინარეში ჩამოსულა,
ღამეს ვარსკვლავების
ჭადარა მოუშვია.

1989



* * *

შავითმოსილი,
ცეცხლის თვალება,
ცად ავსულები დახარხარებენ,
ჩამოაქვს შიში
შორეული სხივების ციალს –
სანაპიროზე გიჟი ქარები,
მღვრიე ტალღებს და
ცხელ ქვიშას ცრიან.

1979



ბილიკები

უბოუკელოდ რომ სადღაც გარბიან,
ეს ბილიკები –
წარსულ დღეთა გზის
გზირებია.

მაღალ კლდეებზე მდგარ ციხეთა
სათოფურიდან,
ბრძოლებით დაღლილ მეციხოვნეთა
სულები ისევ იმზირებიან.



ზღვა და ტა

მეხმა ღრუბელი უცებ დაფერთხა
და ელვის თოკზე
უცებ გაფინა.

მთვარემ მთიებით მოჩითული
ჩაიცვა კაბა.

ციდან მოსულ ზღვას,
ისევ ცაში უნდა აფრენა,
მაგრამ მიწა ეწევა დაბლა.

1964



* * *

ერთხელ იქნება,
სიყვარულით ისე დავთვრები,
რომ ვაწყვევლინო სიკვდილს
თავბედი.

და ავურიო ისე დავთვრები,
რომ ჩემი ნახვა,
არასოდეს აღარ
გაბედოს.

1996



* * *

შურითაღსილნი ბევრი ეცადნენ,
მაგრამ სახელი,
შენი მაინც
ველარ შებღალეს,
რადგან გიფარავს ფრთები ეარის.
აღარ არსებობს შენთვის
დღე-ღამე,
რადგანაც ღამე შენთვის დღე არი.

2003



პონტოს ტალღები

ელვის ბილიკებს მიუყვებიან
და სივრცეების კარებს
აღებენ,
ხელში უჭირაეთ წარსულ დღეთა
დროშის ტარები.
მიდი-მოდიან
მდეღვარ ზღვებში პონტოს ტალღები
და მეღვაზე მწარე ნაღველს
დაატარებენ...

1970



* * *

სამარეს თხრიან,
ანგელოზმა რომ დაიძინოს,
ადარ შორდება ლანდი –
მაცილის.
ლოდი გდია ხის ძველთაძველი
სავარცხელით.
კბილდაკრეჭილი თავის ქალა
სიკვდილს დასცინის,
მაგრამ სიკვდილს კი,
არაფრის და არვის
რცხვენია.

2001



* * *

ცას და მიწას –
 შეყვარებულ პირველ
 ცოლ-ქმარს,
მერე გაყრილთ...
ახლა მიწას, აეხორცსა და
 სატირიანს –
დამდამობით, ცაში ობლად დარჩენილი,
ვარსკვლავები –
 ცხარე ცრემლით დასტირიან.

1979



ეგვიპტის ცხელი უდაბნოები

უამს მიმწუხრისას,
მზე როდესაც ჩაესვენება,
უკიდვანოდ გაშლილ სივრცეებს,
როცა თქარუნი შეძრავს ცხენების.
ეგვიპტის ცხელი
უდაბნოები,
კოლხ მამელუკებს გაიხსენებენ.

1969



ჰაპი

მიწის კი არა,
ცის სიმყუდროვე,
დაფარულია ოქრონარევე
ვარსკვლავთა ქვიშით.
მწუხარე სახით მღელვარე ზღვას
გასცქერის ჰაპი,
და დაუნდობი ქარიშხლის შიშით,
ებლაუჭება ციცქნა ტალღა
უგულო ნაპირს.

1973



ლეთე

ტყუილად გგონია ჩვენ უკიდვანო
ყოფნის ცა,

სულ ერთი მტკაველი,
სად გზები ერთმანეთს კვეთენ.

სადაც მიიმღვრევა –
მტკვარივით,
დავიწყების მდინარე ლეთე.

1998



* * *

ადამიანი შექმნა,
უფალმა თავის სახედ,
ბრძენი და არა ლოგო
მე, სიტყვას ლოცვად ვსახავ,
ვითარც ღვთაებრივ ლოგოსს.

1967



* * *

ზღვის სიღურჯეში ქარმა ღრუბელი
ამოაგლო და ისე გაწურა,
თითქოს დაშლილი და დასაწნავი,
წვიმის გრძელი და
შავი ნაწნავი,
გადაიყარა მხრებზე ქალწულმა.

1978



* * *

მოთმინების ფიალა ღმერთს,
აღბათ მალე აეცემა,
სამოთხიდან გააძევენს
მათ,

ვით ადამსა და ევას.

და...

ბევრს აღარ ეღირსება
საქართველოს მიწად ქცევა.

1993



* * *

მზე –

დილას და

მთვარე –

ღამეს –

ბღავის... და ცა იქცა ბოსლად.

თუმც სიტურფეს ლედა იცავს.

და... ამდენის წასვლას, მოსვლას,

ვით გაუძლოს დედამიწამ.

1964



* * *

ქართულ ტაძრებზე და მონასტრებზე,
ვიღაც სარქისი თუ ავიძბა,
შლის ქართულ წარწერებს
მონუსხული,
თუმც ათასწლეულიდან უყივის
სამი ძმა:
ასომთავრული,
მხედრული,
ნუსხური.

1970



* * *

უფალმა ავი ანგელოზები,
ბოროტებისთვის
მაგრად გაროზგა
და ჩამოყარა ციდან მიწაზე,
მას შემდეგ,
დამით რომ არ გათვალონ,
მთვარე ჰკიდია ღმერთს ავგაროზად.


1962



* * *

ზღვის სილურჯით დაღლილ ტალღებს,
ნაპირმა უცებ გამოსდო სარმა
და გაურია ცრემლები ხმაში,
გამოუფატრა მუცელი ქარმა –
ზღვას, და ქვიშაზე გადმოყარა
ზვირთების ფაშვი.

1989



* * *

ტანწერწეცა და ოქროსთმიანი,
ცისფერთვალემა მისი დობილი
მეფემ კი არა,
დედოფალმა მას ამჯობინა,
აი, ამიტომ ყურთ ბალიშზე
პირდამხობილი,
გაუტანლობას ამ სოფლისას
ტირის თოჯინა.

1964



* * *

ჩემს ბაღში მცირედ ნამუშააკარი,
გადავიწყების ბილიკებით
სანამ იქ წავალ –
როცა მოიწყენს ჩემი ზვრობა
და კალოობა,
სწორედ მაშინაც, აღარ ღოცვას,
და აღარც წამალს,
ჩემი განკურნა შეუძლია
შაშვის გალობას.

1982



მიმოზა

უებრო მიჯნურს გაზაფხულების,
ყვავილების ზღვა
განა დამღლიდა,
გუშინ სიმწვანით რომ შეიმოსა,
ღღეს,
მოყვავილე ჩემი ბაღიდან,
მიწვდის სურნელის ხელს ის მიმოზა.

1982



* * *

მგრების ჯინაზე,

აღაზნის ველზე

ოქროს ნაყოფი

ასხია ხეხილს –

დუღუკებად და დაფა – ზურნებად,

ყურძნით კი არა,

კახეთში გლეხი,

ვირის ყროყინითაც იკურნება.

1996



* * *

ვითარც ხის ფოთოლი,
არ იძვრის ტალღა,
 შორით მომავალ
 ქარიშხლის ბლაგილს,
ზღვა გრძნობს გუმანით,
 სანაპიროზე –
 ბოლთას სცემს ყვავი,
სინუმეა იღუმალი.

1972



* * *

ერთი საწყალი პეპლის ფარფატი,
ჩვენთვის განგებამ
ყოფნად ინება,
მაგრამ არყოფნა როცა გვიშარებს,
მაშინ,
ჩვენ, როგორც ლოკოკინები
ვტოვებთ ნიუარებს.

1974



* * *

მნათთა აკვანში ნარწევი,
სიყვარულის რომ მტყორცნოს ისარი,
ოქროსფრთიანი არ ჩანს ამური
და ხობის პირას
ჩემი ბავშვობა,
ჩუმად იზრდება,
ვით ლერწამი სასაღამურე.

1955



* * *

ნუ გაკრთობს უნასთა სისინი,
ჩიტის კვერცხეებით
ეს ციცქნა ლექსები,
შაშვის გალობაში შეფუთნე,
რადგანაც ისინი,
აწმეოს კი არა,
მომავალს ეკუთვნის.

1963



* * *

თმაგაწეწილმა და გაბურძენილმა
ქარმა,
როდესაც ზღვის დარბაზში
შემოიჭვრიტა,
მაშინ ნაპირზე ამოსულ ტალღას
შერცხვა სიშიშვლის –
შემაქცია ზურგი იჩქითად.

1988



* * *

ველარ ეტევა მთებში არაგვი
და მტკვარიც იმის მოღუდუნება:
რომ დაიყვანეს ქართლი ყუაზე!!!
ვით უამს დავითის,
ნახავს დუნია,
მათ,
მიბმულს ურა ცხენის ძუაზე.

1992



* * *

დედამიწაზე დაუტევარი,
მარად მოჯანყე
და ამბოკარი
არ გასვენებდა სუნთქვა “ყოილის”
და უფლის თვალი
რასაც მოჰკარი,
სიმღერის ზღვაში შთანთქე ყოველი.

1988



* * *

გზას ერთნაირად აღარ უნათებს

მიცვალებულებს

“სულთათანა”

მღვდლის და ვიკარის,

ბელებს მიუვათ წარწყმედილი

სული –

“ახლების”

კაენის მოდგმას მაცხოვარი

არ მიიკარებს,

ვინც კი მოკვდება, განა ყველა

ღმერთს ეახლება?!

1993



* * *

ჩემს ლოდინში დედაჩემი,
მუხის ჩრდილქვეშ
სუფრას არ შლის,
არ ისწორებს უღვაშს მამა.
დაჭიხინებს მეხი ცაში
და მზეს სტყორცნის
ელვის ქამანდს.

1970



მეხეთუში

პონტოს სანაპიროზე

მცხოვრებ კოლხთა ნაშიერთ:

მაკრისებს და

მაკრალებს,

მაკრონებს და აფშილებს,

არ ჰქონიათ შემთხვევა,

რომ მომხდურთა

სისხლი-ხმაღს,

შუბი – ხორცს მოაშეც.

1989



* * *

ვერ აჩერებენ მწვერვალები,
უამთა დინებას
და ცა და მიწა ერთმანეთს
ერთვის.

ნიავეს ხმა მოაქვს რუსთაველის
და ცურტაველის.

მტკვრისპირ ლოცვად მღვარ ვარძიიდან
გავცქერი ხერთვისს
და მე სამყარო მეცოტავება.

1966



* * *

მეფეთა და ვაზირთა
საქმეებს და
ტიტულებს,
ხედავ უამის მობელილს!
შენ კი,
ვით ტიტურელი,
ხარ გრაალის მფლობელი.

2008



ქნის ციხე

(დისტიქი)

I

შუბლშეჭმუნნილი წარსულსა და
ქართლს გადაჰყურებს,
რომელიც მეფე –
 ავი გიორგის¹ –
თვის საბედისწეროა!
თუ რატომ,
ჰკითხეთ მსხალთას,
შავშვებს და წეროვანს.

¹ ავი გიორგი – კახეთის მეფე (1511-1513)

II

იდგა, ისე ვით სალი კლდე,
უკან არ დაუხევია
და მტერს არასდროს ემონა.
იქ – ჯოჯოხეთის ხევია,
სადაც მიედინება ჯეონი.¹

1971

¹ ჯეონი – მიწისქვეშეთის (ჯოჯოხეთის) მდინარე.



შაჰი ზღვა

არ ეკიდება სიკვდილის ხავსი,
ცის და ხმელეთის
წასალეკად ნიადაგ იბრძვის...
შაჰი ზღვა არა,
გახლავთ ღურჯი
გრაალის თასი –
პირთამდე სავსე კოლხური სიბრძნით.

1974



* * *

ქოსებიდან ამოსულები,
ასწლეულები რბიან ისე,
როგორც წამები.
არ ჩანს უფალი –
ჩვენი მსაჯული.
უკვდავება კი ტანჯვასა და სულის
წამება,
ის პრომეთეა –
უღმერთობის კლდეს მიჯაჭვული.

2002



* * *

თვალთაგან ხილული თუ უხილავი,
ცით და სიშორით გასანასკვავები,
იელვებს ანგელოზთა
ოქროს ნაწნავები.
და მთელი ღამე ვარსკვლავები –
სინათლეს და სიშორეს
წკავწკავებენ.

1965



* * *

ასე დიადი და საკვირველი,
ცის ტოტზე ზიხარ,
როგორც ფრინველი.
უპირველესი ქურუმი ხარ
რეა-კიბელეს*,
მზე და მთვარეზე სიმღერების
მსხვერპლთ შემწირველი.

1979

* რეა-კიბელე – დედათა დედა, დედამიწაზე.



* * *

სიმყუდროვიდან ამოფრქვეულმა,
სინათლის ტალღამ გადმოლახა
ღამის ნაპირი
და ცას ევსება ვარსკვლავებით
ღურჯი თვალები
მდინარეები კუდს იქნევენ
გველეშაპივით,
შავი ღრუბლები სადღაც წვიმას
მიყრანტალებენ...

1967



* * *

ისე, ვითარცა უფლის წყალობა,
ციურ მანანად გვაცვივა ნამი
და შორით მოჩანს
მთვარის კათედრა.
მთელი სიცოცხლე –
დღისით და ღამით:
მივაღთ სიკვდილთან ჩვენ შესახვედრად.

2008



* * *

ელვა –

უფლისკენ გზაა მიმავალი,

ღღე და ღაბე –

სკილა და ქარიბდა, –

გედარაჯობს და კარებს

კეტავს.

იქუხა...

ცა უცებ გარინდდა,

რა ჩაიფიქრა ნეტავ?!

1970



* * *

მარადისობის სიმარტოვეში
ხარობს,
ბიბინებს ჟამთა ბალახი.
დედამიწაზე ისევ დგება სისხლის
მორევი:
აღარც დმერთი ჩანს,
აღარც ალაჰი
და შენ, შენს აღში იწვი
ისევ მეტეორივით.

1994



* * *

გვიჯავრდება მოკვდავთ ზენა,
და დღეები ისევ მკაცრობს:
ხმა არ ისმის დოღ-წინწილის.
მსურს,
უამს ლექსი გამოვტაცო,
ისე, როგორც ქორს – წიწილი.

2005



* * *

სიცოცხლე რაა,
თვითონ სიკვდილიც,
გხედავ და ვიცი, დამაგვიანდა
და ცას და მიწას მიტომ ვედები.
ველარ გნახულობ,
მაგრამ ნიადაგ,
უზენაესო, ისევ ისე შეიმედები.

1998



ჯრუჭის ოთხთავი

გაკრთება ელვა

და ურწმუნოთა

ყორნებს წარსულის კლდეებს

მიაშლის...

სამშობლოს ჩემსას –

ულხინოს თუ უჭირს:

თოვს და თოვს სიბრძნეს –

„ოთხთავი ჯრუჭის“

ცივი სინათლის ღამის წყვილიაღში.

1971



* * *

საიდანღაც მოვარდნილმა,
ღვარცოფმა თუ
ქარის ხელმა,
წამს გაწყვიტა ჯაჭვი ბორნის.
ჩაიკლაკნა ბნელში ელვა,
ვით ქვესკნელში აქერონი.*

1973

* აქერონი – მიწისქვეშეთის მდინარე.



* * *

ასე ეწადა ალბათ განგებას,
მის ნებას ქვეყნად
ვერაგინ შეცვლის,
მიტომ წაქცევად მიიღტვის პიზა.
მაგრამ შენ ჟამი
ვერაფერს გიზამს, –
მონათლული ხარ წყლითა და ცეცხლით.

2007



* * *

ქარის ბილიკით მოსული დეღვა,
მშიშარა ნაპირს მოადგა
და შავად ირთვება.
ღახტივით იქნევს სადამო ეღვას,
ზღვის ხეს –
ფოთლებად ცვივა
ზვირთები.

1989



* * *

რაც განგებით იხილე,
ცოცხალ პოეტს ამქვეყნად,
ღირსებია არავის:
ვარდის ელვარება და
სისპეტაკე კარავის.

1976



ხილვა: წარსული

ელვად ურარტუს გზა მიდის,
შუმერის მიდის –

ქუხილად.

ირევა უამთა ამინდი,
დღეები წარსულს ელტვიან...
ვით მოსეს,

შენც ვინ დაგიშლის,
უდაბნოებში ხეტიალს...

2002



* * *

ისმენ ციურ გალობას
და ბედს მაინც ემდური,
კაცი რკინის მკვებელი.
სადღაც ტრანცენდენტურში*
იდუმალად მჭერებელი.

1971

* ტრანცენდენტური – (ლათ.) რაც საზღვარს სცილდება.



* * *

ღამე უერის დიღამდე
ვარსკვლავების ნაკვერჩხლებს,
ისმის ქშენა ცის ქურის –
და მზე ბუდეს იკეთებს...
შენ კი დედამიწაზე,
ვით პავლე მოციქული,
თესავ მარცვალს სიკეთის.

2001



კველი სასაფლაო

დღეებს წაუშლიათ პირწმინდად,
საფლავის ქვაზე რაც ეწერა
და ისმის სულების გოდება.
ქვეყანა ქცეულა ეწერად,
ყველგან ჯვრებია და
ლოდები,
ვითარცა სიკვდილის ხელწერა.

2007



* * *

შენში დარგულ ცხოვრების ხეს,
მარად უნდა ეშრიალა,
მაგრამ დაუპყრია
პითონს.

ღმერთი შენში მოჰკლეს ვითომ?!
არა ჩემო,
იდუმალად შენში არი.

1963



მზე, სიტყვა და მაღალი ცა

უსამანო ეს საწუთრო –
გწვავს დღეებით,
და ქედების
მარად მედინ აღალითა.¹
მაგრამ სულს ეიმედება:
მზე,²
სიტყვა³ და მაღალი ცა.⁴

1977

¹ აღალი – ქარავანი

² მზე – მამადმერთი

³ სიტყვა – ძე ღმერთი

⁴ მაღალი ცა – მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლო



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

* * *ათასეულ წლის მერეც.....25

წინაგრძობა26

მელეა და აფსირტე.....27

კლარჯეთი.....28

პინგვინები.....29

გაზაფხული30

რა პატარაა ეს დედამიწა.....31

ვარციხეში32

ეფრემ მცირე.....33

ხილვა: პომპეუსი34

* * *პონტოს სანაპიროზე.....35

დიდ გზა.....36

შემოდგომა37

მე და შენ.....38

მთაში.....39

ზანებ-სვანებ-ჭანები40

ასტროლოგები.....41

წამო, შეჩერდი.....	42
მთა პალიასტომის ტბაზე.....	43
საუკუნე გორგასალის.....	44
კოლხ-ესპანელ იბერებს.....	45
ტკეა-ჯა.....	46
ხილვა: თეოფანე ბიზანტიელი.....	47
1999.....	48
გველთევზები.....	49
7200.....	50
საუკუნე მეოცე.....	51
ურწმუნო თომა.....	52
დალი და აფსთა.....	53
ქართული ცა.....	54
ზევსის თავის ქალა.....	55
ხილვა: ქარიშხალი ზღვაზე.....	56
ხილვა: „ე“, „აია“.....	57
იუდას ამბორი.....	58
ჰენიოხებს, კორახებს.....	59
მზე.....	60
ადმართ-დადმართი.....	61

ფრთები.....	62
* * *ზოგჯერ სიცოცხლე.....	63
პეგასი.....	64
სკვიმია და სვანია.....	65
ცოდვა.....	66
ხილვა: თრუსოს ხეობა, წინარები, ოსები, XVI საუკუნე.....	67
2000.....	68
განთიადი.....	69
* * *როგორც გაზაფხულის ცა.....	70
ადამიანი კოსმოსში.....	71
საუდის არაბეთში.....	72
უსინათლო.....	73
ბავშვობა.....	74
* * *ზღვა იყო წყნარი... ..	75
800.....	76
ყვილზე მამლის.....	77
სიკვდილი, სიცოცხლე.....	78
ილია.....	79
სიყვარული.....	80

ნარჩენი.....	81
14000	82
კვამლი.....	83
* * *აზე კი არა!	84
ბედისწერა	85
ქრისტე.....	86
ელდორადო, კოლორადო.....	87
ბადში.....	88
„კოლხური ფსალმუნების“ 100 –	
ტომეული	89
გორგასლის... და დავითის საუკუნე	90
ჰომეროსი, დანტე და შექსპირი.....	91
„მე ვარ ის“	92
პლუტონი, ცერბერი, ატლანტი	93
სული.....	94
* * *ჩემს კოლხეთში	95
ვით დანტე ალიგიერი	96
ჩემი მზე, მთვარე და ვარსკვლავები	97
* * *ჩვენი ლომგული წინაპრები	98
ჰერკულესის ოქროს სვეტები.....	99

ატლანტი.....	100
* * *მზე ჩავა და მაშინათვე.....	101
ხილვა: იაზონი კოლხეთში.....	102
ურწმუნო თომა.....	103
ჩემო კოლხეთო!	104
ეკლის გვირგვინი.....	105
ზღვაზე.....	106
ისე, ვით აქილევსმა	107
უსაზღვროება.....	108
გველის პერანგი	109
ცა მიწა.....	110
ტაბალ-თუბალნი, ქაშკ-ქასკები.....	111
* * *რადგან სიცოცხლედ	112
ზღვა.....	113
ციხე გოჯი.....	114
* * *ელვის ნალებით.....	115
ხორვა.....	116
* * *ჩემთან ხარ!	117
ანდებში.....	118
უძილო ღამე.....	119

მხარგრძელებს და ათაბაგებს.....	120
პლინიუსი და პტოლემე.....	121
***რადგან გინთია მადლის.....	122
***ადრე სხვა იყო... ..	123
***ჩემს ხორგაში ვარ.....	124
***ან მარეს და აიეტის.....	125
***სიცოცხლეში აღარ ძალუძს.....	126
***ისევ ლოდინი.....	127
***მზე გველემშაპს გადუყლაპავს.....	128
***ათასწლეულების მერე.....	129
ქალღვევლთა ქვეყანა.....	130
***წარმავალია ქვეყნად ყოველი.....	131
***ქარიშხლის ძახილზე ტალღები.....	132
ნაირის და ბიანას.....	133
***ათასწლეულების მერე.....	134
პონტოს სანაპიროზე.....	135
მატიტელა.....	136
ორი ვაჟა.....	137
უღები.....	138
კონდაკი და ტროპარი.....	139

*** კვლავ ეხვევა მუხას მუმლი.....	140
ზურაბ ქაფიანიძე.....	141
აბოს ნიში მეტეხთან.....	142
***საცალფეხო ბილიკებით.....	143
არამსუტუ.....	144
მერე... ..	145
***ცა ვარსკვლავების.....	146
ბიბლიიდან გამოსული	147
***მნათებში მიფერმკრთალებენ.....	148
ქრისტეს ბოლო სიტყვები.....	149
დრო – ენგურივით მარადმედინი	150
უამი უუამო	151
მელიუმი.....	152
33.....	153
აღკეოსი, საფო, ანაკრეონტი.....	154
ერთგულება	155
სიცოცხლე.....	156
***სადღაც ფეხის ხმა ისმის.....	157
ვით აქილევსმა.....	158
ვით მენცარი დანიელი	159

***უფლის ხელით დარწმუნებული.....	160
ჰეტერა.....	161
ხუშხეველი დევები.....	162
***ამ წუთისოფელს ბევრი ედავა.....	163
სეგედილია.....	164
ოსანა.....	165
ენქიდუ და გილგამეში.....	166
ვით ხიროსიმა და ნაგასაკი.....	167
ექო.....	168
სიხარული.....	169
ღვთისშვილები.....	170
აიეტის მერმინდელი კოლხეთის მეფეები	171
ვარსკვლავი.....	172
ნაბუქოდონოსორი.....	17
მტკვარი მეტეხის ციხესთან.....	174
სტუდენტობა.....	175
ხორვა.....	176
მტკვარი.....	177
ფშავში.....	178

ციცინათელა.....	179
2007.....	180
* * *ხეცას მუცელი უცებ ასტკივდა ...	181
* * *მზე კვლავ მზეობს.....	182
* * *ხემი ცხოვრების საჯინიბოში	183
მთები და ბილიკები.....	184
გურიაში.....	185
* * *გადაშლილია კილით-კიდემდე.....	186
* * *ახლახან რომ თეთრი ეცვა.....	187
* * *ათასწლეულების მერეც.....	188
* * *თოვლის ქათქათა სარეცელზე.....	189
* * *შავითმოსილი.....	190
სემი და ქამი.....	191
ბილიკები.....	192
ზღვა და ცა.....	193
* * *ერთხელ იქნება.....	194
* * *შურითადესილნი ბევრი.....	195
პონტოს ტალღები	196
* * *სამარეს თხრიან	197
* * *ცას და მიწას.....	198

ეკვიპტის ცხელი უდაბნოები.....	199
ჰაბი.....	200
ლეთე.....	201
* * *აღამიანი შექმნა.....	202
* * *ზღვის სილურჯეში.....	203
* * *მოთმინების ფიალა ღმერთს.....	204
* * *მზე.....	205
* * *ქართულ ტაძრებზე.....	206
* * *უფალმა ავი ანგელოზები.....	207
* * *ზღვის სილურჯით.....	208
* * *ტანწერწეტა.....	209
* * *ჩემს ბაღში	210
მიმოზა.....	211
* * *მტრების ჯინაზე.....	212
* * *ვითარც ხის ფოთოლი.....	213
* * *ერთი საწყალი პეპლის.....	214
* * *მნათთა აკვანში ნარწვევი.....	215
* * *ნუ გაერთობს უნასთა სისინი.....	216
* * *თმაგაწეწილმა.....	217
* * *ველარ ეტევა მთებში არაგვი.....	218

* * *დღამიწაზე დაუტევარი.....	219
* * *გზას ერთნაირად.....	220
* * *ჩემს ლოდინში დედაჩემი.....	221
მესხეთში.....	222
* * *ვერ აჩერებენ მწვერვალები.....	223
* * *იქუხა.....	224
* * *მეფეთა და ვაზირთა.....	225
ქსნის ციხე.....	226
შავი ზღვა.....	228
* * *ქაოსებიდან ამოსულები.....	229
* * *თვალთაგან ხილული.....	230
* * *ასე დიადი და საკვირველი.....	231
* * *სიმეუდროვიდან.....	232
* * *ისე, ვითარცა.....	233
* * *ელვა – უფლისკენ გზა.....	234
* * *მთა დღამიწას შიშით.....	235
* * *მარადისობის სიმარტოვეში.....	236
* * *ქრისტეს კი არა.....	237
* * *გვიჯავრდება მოკვდავთ ზენა.....	238
* * *სიცოცხლე რაა.....	239

ჯრუჭის ოთხთავი.....240

* * *საიდანდაც მოვარდნილმა.....241

* * *ასე ეწადა ალბათ განგებას.....242

* * *ქარის ბილიკით.....243

* * *რაც განგებით იხილე244

ხილვა: წარსული245

* * *ისმენ ციურ გალობას.....246

* * *ღამე უყრის დილამდე.....247

ძველი სასაფლაო248

* * *შენში დარგულ ცხოვრების ხეს..249

მზე, სიტყვა და მაღალი ცა.....250

2020.08.01

"საერთაშორისო მკვლევარების" 100-დღეობის
პროგრამის, საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და ინოვაციების სამსახურის, საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის და მკვლევარების
საერთაშორისო კავშირების "საერთაშორისო
მკვლევარების" 100-დღეობის
პროგრამის, საქართველოს მეცნიერების, განვითარების
და ინოვაციების სამსახურის, საქართველოს მეცნიერების
და ინოვაციების სამსახურის და მკვლევარების
საერთაშორისო კავშირების 100-დღეობის
პროგრამის და მკვლევარების
საერთაშორისო კავშირების.

საერთაშორისო მკვლევარების
2020.08.01



ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 93

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 93

გამომცემლობის

რედაქტორი

– ეკატერინე გოგიაშვილი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ნანა გეჭაძე

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – ნუზუარ ზვალია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიანი ქ. №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com